



საქართველოს სსრ

პოლიტიკური და მეცნიერული  
სრული გამაყრულებელი საზოგადოება

3. მ. ერთოვე

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი

# ერამინის გარეარებების სახულებათა ნაკრომება

№ 56

თბილისი

1954

საქართველოს სსრ პოლიტკური და მთანიერები ცოდნის  
გამარჯვებების საზოგადოება

3. a. ፩፻፲፭፩፩

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი

# აღამიანის გარემოება სწორებათა ნახაოშობა



• ԹՀՈՐՈՒՍՈ—1954 6.

## მ ა ი თ ხ ვ ე ლ ე ბ ს !

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული  
ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება გთხოვთ გვაც-  
ნობოთ ოქვენი აზრი ამ ლექცია-სტენოგრამის შესახებ.  
თბილისი, ჯაფარიძის ქუჩა № 4

რუსულიდან თარგმნა ექიმ თ. ხაფავაშ

რედაქტორი პროფ.- მ. კანდელაკი

---

ნელმოწერილია დასაბეჭდად 29.6-54 წ. ანაწყობის ზომა  $6 \times 9\frac{1}{2}$ ,  
ქაღალდის ზომა  $60 \times 84$ , სასტამბო ფორმა-თა რაოდენობა 2.5.  
შეკვეთის № 856. ტირაჟი 6.000 უე 00793.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობის სტამბა  
აკ. წერეთლის ქ. № 3/5

Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР  
ул., Ак. Церетели № 3/5

ჩვენს ქვეყანაში, მთავრობის დიდი ყურადღებისა და სახსრების უხვად გალების შედეგად, ჯანმრთელობის დაცვამ და მედიცინის მეცნიერებამ არნახულ აყვავებას მიაღწია. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელმა ზრდამ, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ხასიათმა და უფასო სამედიცინო დახმარებამ, ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვამ და მოსახლეობის სანიტარულმა თვითმოქმედებამ უზრუნველყველების დაავადებათა და სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირება.

ომამდელ პერიოდთან შედარებით სიკვდილიანობა ომისშემდგომ წლებში შემცირდა ორჯერ, ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობა — კიდევ უფრო ჩეტად. კომუნისტური საზოგადოების მშენებელ ძლამიანთა ჯანმრთელობის დაცვისათვის პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიურში ზრუნვამ ნათელი გამოხატულება პოვა პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრკავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების შემდგომ აყვავებას ითვალისწინებს.

სულ სხვა მდგომარეობაა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, მათ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში. მძიმე კაპიტალისტური ექსპლოატაცია, უმუშევრობა და მშრომელთა მასების გაღატაკება მოსახლეობის დაავადებისა და სიკვდილიანობის ზრდის მიზეზს წარმოადგენს. ისწრაფიან რა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ, ამ სახელმწიფოთა მთავრობები, თავიანთი ბატონ-პატრონი კაპიტალისტების მონა-მორჩილნი, უზარმაზარ სახსრებს ხარჯავენ სამხედრო მიზნით, რის გამო ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გროშები ღარება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია სამედიცინო დახმარების მიღების საშუალებას, რადგან კერძო ექიმები საამისოდ დიდ ფულს მოითხოვენ. მედიცინის განვითარება იმპერიალისტურ სახელმწიფოებში მიმართულია არა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისაკენ, არამედ სასიკვდილო მიკრობების გამოყენებისაკენ სამხედრო

თავდასხმის იარაღად და ხალხის მასობრივი განადგურების საშუალებად.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის წარმატებები ნათლად მოწმობს სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. ეს წარმატებანი აღაფრთოვანებენ მშვიდობის მომხრეებს — მთელი მსოფლიოს უბრალო აღამიანებს — ოშის გამჩალებლებისადმი მტკიცე წინააღმდეგობის გასაწევად; ეს წარმატებანი ნიმუშია, რომლის მიხედვითაც სოციალისტური განვითარების გზაზე შემდგარი სახალხო დემოკრატიის ქვეყნები აწყობენ და წარმართავენ თავიანთი ხალხების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

როდესაც საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის მიღწევებზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია განსაკუთრებით აღინიშნოს გადამდებსნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებანი. ჩვენს ქვეყანაში უკვე დიდი ხანია მოსპობილია ისეთი უალრესად საშიში დაავადებანი, როგორიცაა შავი ჭირი, ხოლერა და ყვავილი, რომელთა ეპიდემიას ახლაც აქვს აღგილი კაპიტალისტურ ქვეყნებში. განუწყვიტლივ მცირდება გადამდებსნეულებათა მიერ გამოწვეული საერთო დაავადება. ბევრი მათგანი — მალარია, პარტასტრიანი ტიფი, მუცლის ტიფი, დიფტერია და სხვა ფართოდ იყო გავრცელებული წინათ, ხოლო ამჟამად მინიმალურ დონემდეა დაყვანილი, ანდა, როგორც, მაგალითად, შებრუნებითი ტიფი ან რიშტა, სრულიად ლიკვიდირებულია. ყველა ეს სნეულება ფართოდ არის გავრცელებული კაპიტალისტურ ქვეყნებში, აავადებს მილიონობით ადამიანს და მრავალი ათასის სიკვდილს იწვევს.

ამ ბროშურაში მოთხრობილი იქნება, თუ როგორ წარმოიშვა აღამიანთა გადამდები სნეულებანი, რა იწვევდა მათ ფართო გავრცელებას და როგორია მათი ლიკვიდაციის გზები.

იმ დაავადებათა შორის, რომლებიც აღამიანის სიკვდილს იწვევენ, გადამდებ სნეულებებს განსაკუთრებული აღგილი უჭირავს. ეს განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ გადამდებ სნეულებათა გამომწვევ მიზეზს წარმოადგენენ ცოცხალი არსებანი, რომლებიც აღამიანის ორგანიზმში პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან და თავისი ცხოველმოქმედებით სხვადასხვა დაავადებას იწვევენ.

გადამდებ სნეულებათა აღმძერელნი მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვა სამყაროს მიეკუთვნებიან. მათგან ყველაზე მცირენი —

ვირუსები — იმდენად პატარა ზომის არიან, რომ ისინი მიკროსკოპით შეიარაღებული თვალისფერისაც კი შეუმჩნეველია<sup>1</sup>. ვირუსები გრიპის, ყვავილის, წითელას აღმძვრელად ითვლება. მათი მსგავსი ორგანიზმები — რიკეტსიები — იწვევებ პარტასტიან ტიფს, სანგოის ცხელებას. გადამდები სხეულებების აღმძვრელთა უძეტესობა შეკუთხება მიკროსკოპულ მცენარეებს (ბაქტერიები, სოკოები), ან კიდევ ცხოველებს (უძარტივესხი). ბაქტერიები მუცლის ტიფის, დინებტერიის, დიფტერიის, თოლერის, შავი ჭიოის გამოძველვნი არიან; სოკოები იწვევებ მკრეჭავ სირსველას, ქეცს, რძიანას; შალარიის, ამებური დინებტერიის, ლეიშმაზიონების გაძომწვევვნი უძარტივესთა ჯგუფს შეკუთვნებიან. ვირუსებს, ბაქტერიების, სოკოებს და უძარტივესთ ხშირად უწოდებენ საერთო საბელს — მიკრობებს, ანუ შიკროორგანიზმებს. მიკრობებთან ერთად გადამდებ დაავადებათა აღმძვრელი შეიძლება იყვნენ შედარებით უფრო მეტად ორგანიზებული ცხოველები — ჭიები და ფეხსახსრიანები. ჭიები ითვლება ასკარიდონების, ტრიბინელების, ენტერობიონების (კუდმახვილა), ტენიიდონების (ზონარისებრი ჭიების), რიშტისა და სხვა ჭიისმიერ დაავადებათა აღმძვრელად. ფეხსახსრიანებს მიეკუთვნება ბლერის ტკიპა. იმ გადამდებ სხეულებებს, რომელთა გამოძვევადაც მიკრობები ითვლება, ჩვეულებრივ ინფექციურ დაავადებებს უწოდებენ; იმ სხეულებს კი, რომელთაც ჰელმინტები (ჭიები) და ფეხსახსრიანები იწვევენ, ინგაზიურ დაავადებებს უწოდებენ.

ამ სხვადასხვაგვარ ორგანიზმებს შორის საერთო ის არის, რომ ყველა ისინი — ვირუსებით დაწყებული ვიდრე ფეხსახსრიანებამდე — პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. გადამდებ სხეულებათა ყველა ზემოხსენებული გამოძვევი ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმი ცხოვრობს და შრავლდება, მათი საკვებია ორგანიზმის კანის ქსოვილები და წვენი. ზოგი მათგანი ლრმად არ იჭრება ქსოვილებში და პარაზიტოას კანის ზედა ფენებში (ძკრეჭავი სირსველის სოკო, ბლერის ტკიპა), ლოორვას გარსეაზე (დიფტერიის ბაქტერიები), ხაჭლავების ლრმაში (კუდმახვილა); სავები კი, პირიანთ, ვრცელდება სისხლის დეხის საშუალებით და ედება მთელ

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ შეიძლება წაგიკითხოთ ამავე აეტორის წიგაში „ვირუსები და ვირუსული სხეულებანი“, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „ზნანიემ“.

ორგანიზმს (პარტახტიანი ტიფის რიკეტსიები, ყვავილის ვირუსი). მაგრამ ორივე შემთხვევაში პარაზიტები მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე ან უშუალოდ, ანდა თავის ცხოველმოქმედების პროდუქტებით.

დიდი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრების თანახმად, ორგანიზმის, მისი ცალკეული ნაწილების, ქსოვილების მოქმედების ყველა სახე ცენტრალური ნერვული სისტემით წესრიგდება. გადამდები სწეულებების აღმძვრელთა პათოგენური (დამავაადებელი) მოქმედება იწვევს ამ მომწესრიგებელი მოქმედების დარღვევას ამა თუ იმ სახით. მაგალითად, დიფტერიის ბაქტერიები, მრავლდებიან რა სახისა და ცხვირ-ხახის ლორწოვან გარსში, გამოყოფენ ძლიერ ტოქსინს, რომელიც იწვევს ნერვული ქსოვილების დაზიანებას, თირკმლის ზედა და ხახის ქსოვილების მიღამოს სიკვდილიანობას. პარტახტიანი ტიფის რიკეტსიები ერევიან სისხლში და აზიანებენ სისხლის წვრილი ძარღვების კედლებს (კაპილარებს); განსაკუთრებით ზიანდება ის კაპილარები, რომლებიც სისხლს აწვდიან ტვინს. დიზენტერიის შემთხვევაში ბაქტერიების გამრავლების შედეგად მსხვილი ნაწლავის კედლებში პირველ რიგში ზიანდება ნერვები, რომლებიც აწესრიგებენ ნაწლავების მოქმედებას, და თვით ნაწლავების კედლები, რომლებზეც მიკრობთა შხამის მავნე მოქმედებისა და ნაწლავთა ქსოვილის კვების დარღვევის შედეგად წარმოიშობა წყლულები.

ადამიანის ორგანიზმი პარაზიტების მავნე მოქმედების მიმართ უმოქმედებას არ იჩენს და მას თავდაცვითი რეაქციით უპასუხებს.

დიდმა რუსმა მეცნიერმა ი. ი. მეჩინიკოვმა ცხადყო, რომ ცხოველების ორგანიზმა, ხანგრძლივი ევოლუციური განვითარების პროცესში, გამოიმუშავა სპეციალური თავდაცვითი საშუალებანი, რომელიც პარაზიტების მავნე მოქმედების შესუსტებისა და ინფექციურ დაავადებათა აუთვისებლობის (იმუნიტეტის) გამომუშავების შესაძლებლობას იძლევა.

ეს თავდაცვითი საშუალებანი სხვადასხვანაირია. სისხლში და შინაგან ორგანოებში არსებობს სპეციალური უჯრედები, რომლებიც შთანთქმავენ და აუვნებლებენ მიკრობებს. მეჩინიკოვმა მათ უწოდა ფაგოციტები, რაც მიკრობმშთანთქმელ უჯრედებს ნიშნავს. ეს უჯრედები წარმოადგენენ რეტიკულო-ენდოტელიალური სისტემის შემადგენელ ნაწილს; იგი იმუშავებს ანტისხეულებს, რომ-

ლებიც უგნებელყოფენ მიკრობთა შხამს (ტოკსინს) და თვით მიკ-  
რობების მოქმედებას. ორგანიზმში პარაზიტების შეჭრის დროს  
იცვლება ქსოვილების მგრძნობიარება მათი ცხოველმოქმედების  
პროდუქტების მიმართ, რის შედეგად მცირდება პარაზიტების მავნე  
მოქმედება. პარაზიტთა მოქმედების გაუვნებლებაში დიდი მნიშვნე-  
ლობა აქვს აგრეთვე ღვიძლს, თირკმლების მოქმედებას და ლორ-  
წოიანი გარსების გამონაყოფს. ყველა ამ მრავალსახოვანი დამ-  
ცველი ფაქტორის მართვა ხდება ცენტრალური ნერვული სისტე-  
მის საშუალებით, მათი შეხამების შედეგად წარმოიშობა ისეთი  
რთული თავდაცვითი რეაქციები, როგორიცაა ანთება, ცხელება,  
რაც მიმართულია აღმძვრელის მოსპობისაკენ ან მისი მოქმედების  
გაუვნებლებისაკენ. ამრიგად, ზიანის მომტანი (პათოგენური) პარა-  
ზიტისა და ადამიანის ორგანიზმის ურთიერთმოქმედება, რაც ინფექ-  
ციური პროცესის არსებობის შეადგენს, რთული და მრავალსახოვანია.  
აღმძვრელის თვისებისა და ორგანიზმის რეაქციის თავისებურე-  
ბათა შესაბამისად განისაზღვრება კიდეც თვითეული ავადყო-  
ფობის კლინიკური მსვლელობის თავისებურება, ხოლო ინფექ-  
ციის მოხდის შემდეგ ან მისი მსვლელობის დროს ხშირად გამო-  
მუშავდება ხოლმე იმუნიტეტი (შეუვალობა) ამ სენით ხელმეორედ  
დაავადებისადმი.

პარაზიტული ცხოვრების შედეგად გადამდებ სნეულებათა  
აღმძვრელნი თავიანთ ბიოლოგიურ სახეს ინარჩუნებენ მხოლოდ იმ  
შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება მათი გადასვლა დაავადე-  
ბული ორგანიზმიდან ჯანსაღ ორგანიზმში. გადამდები სნეულების  
ყოველი აღმძვრელის არსებობა წარმოადგენს დაავადებული ორ-  
განიზმიდან ჯანმრთელ ორგანიზმში გადასვლების განუწყვეტელ  
ჯაჭვს, ამასთან ბევრი აღმძვრელი სიცოცხლეს ინარჩუნებს გარე  
სამყაროში, მანამ, სანამ კვლავ არ მოხვდება ადამიანის ან ცხო-  
ველის ორგანიზმში. ურთიერთკავშირში მყოფ ინფექციურ პრო-  
ცესთა ეს ჯაჭვი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, გადამდებ სნეუ-  
ლებათა აღმძვრელების გავრცელება იწოდება ეპიდემიურ პრო-  
ცესად, როდესაც ლაპარაკია ადამიანთა გადამდებ სნეულებებზე,  
ან ეპიზოოტიკურ პროცესად, თუ ლაპარაკია ცხოველთა გადამდებ  
სნეულებებზე.

გადამდები სნეულებანი სხვადასხვა გზით ვრცელდება.

ერთ შემთხვევაში ნაწლავის ღრუში ან საშარდე გზებში მყოფი პარაზიტები გამოიყოფა ნაწლავის შიგთავსთან (განავალთან) ან შარდთან ერთად და ხვდება ნიადაგში, წყალში, სხვადასხვა საგნებზე. ჯანსაღ ძღვიანზე სენი გადაღის პირის ღრუს მეშვეობით, გაბინძურებული წყლის დალევისა და საჭმლის მიღების დროს. საკვები პროდუქტების გაბინძურებაში დიდ როლს ასრულებენ ბუზები, რომლებსაც თავიანთი თათების ან ნაწლავების საშუალებით გადააქვთ განავლის ნაწილაკები და სხვა ნარჩენები. დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე აღმძვრელის გადასვლას ჰუცუიანი ხელის საშუალებით. ასეთი გზით გადასულ გადამდებ სნეულებებს ეწოდება ნაწლავთა ანუ ალიმენტარული (კვებითი) ინფექცია. მათ მიეკუთვნება მუცლის ტიფი, დიზენტერია, ხოლო, ამებური დიზენტერია, მრავალი ჭიისმიერი ინვაზია.

სხვა შემთხვევაში აღმძვრელნი, რომლებიც პარაზიტობენ კანზე და ლორწოვან გარსზე, გარე სამყაროში ხვდებიან იმ ლორწოვან გამონაყოფთან ერთად, რომელსაც გამოჰყოფს ჭრილობა, წყლული ან რომელიც თან ახლავს კანის ქერცლს თუ ბალანს. სნეულების გადადება ხდება კანისა და ლორწოვანი გარსის საშუალებით, ავადმყოფებთან კონტაქტის დროს ან მათ მიერ დაბინძურებული ნივთების ხმარების გზით. ამ გზით გადასულ გადამდებ სნეულებებს ეწოდება გარეგანი საფარველის ინფექციები. ესენია: ბლერი, ქეცი, მკრეჭავი სირსველა, ტრაქომა, ვენერიული დაავადებანი.

ბევრია ისეთი სნეულება, რომლით დაავადების დროს აღმძღვრელნი მრავლდებიან ცხვირ-ხახაში, ფილტვებში და გამოიყოფიან ჰაერში ლორწოს უწვრილეს ნაწილაკებთან ერთად ხველების, ცხვირის დაცემინების, ლაპარაკის დროს. იატაკზე, ნივთებზე დალექილი ლორწოს ნაწილაკები გაშრობისას შეიძლება ისევ ავიდეს ჰაერში მტვრის სახით. ასეთი ჰაერის ჩასუნთქვა იწვევს დაგადებას. ამ გზით ავადმყოფობის გადადებას ეწოდება ჰაეროვან-წვეთობრივი ან მტვეროვანი გადადება, ხოლო იმ სნეულებებს, რომლებიც ამ გზით ვრცელდება — სასუნთქი გზების ინფექცია ან ჰაეროვან-წვეთოვანი ინფექცია. მათ მიეკუთვნება გრიპი, წითელა, ქუნთრუშა, დიფტერია, ტუბერკულოზი.

ბოლოს მთელ რიგ დაავადებათა დროს აღმძვრელი იმყოფება სისხლში და არ გამოიყოფა გარე სამყაროში. დაავადების გავრცელება ამ შემთხვევაში ხდება სისხლის მწოვ ფეხსახსრიანთა სა-

შუალებით (მწერები და ტკიპები), რომლებიც, ჩაკი ადამიანისა ან ცხოველისაგან მიიღებენ ამა თუ იმ სენს, აღმძვრელს გადასცემენ ჯანმრთელ ადამიანს კბენის ან გამონაყოფის მეშვეობით, რაც ქავილის დროს შეიჩილება ხოლმე კანში. ამ სნეულებებს ეწოდება სისხლოვანი ან ტრანსმისიული ინფექციები. მათ მიეკუთნება პარტახტიანი ტიფი, შებრუნებითი ტიფი, მალარია, ცხელება პაპა-ტახი, სეზონური ენცეფალიტები.

გადამდები სნეულებანი, რომლებითაც ადამიანები ავადდებიან, შეიძლება გაიყოს სამ დიდ ჯგუფად. თვითეული ჯგუფის სნეულებას გადადების თავისებური წყარო აქვს.

ზოგი მათგანით ავადდება მხოლოდ ადამიანი და ბუნებრივ პირობებში არ ავადდებიან ცხოველები. ამ დაავადებათა აღმძვრელნი კარგად შეგუებიან ადამიანის ორგანიზმს და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან მასში. ასეთ სნეულებად ითვლება მუცლის ტიფი, დიზენტერია, ხოლერა, ქეცი, ტრაქომა, დიფტერია, წითელა, ქუნთრუშა, ყივანა ხველა, მალარია. ამ დაავადებებს ჩვეულებრივ უწოდებენ ანთროპონოზებს (ანთროპოს — ადამიანი, ნოზოს — დაავადება).

ზოგი სნეულება ემართება არა მარტო ადამიანს, არამედ შინაურ ცხოველებსაც, აგრეთვე იმ ცხოველებს, რომელნიც ადამიანის საცხოვრებელში ჟაბინავებულან მისდა უნებურად, — თაგვებს, ვირთაგვებს. ამ დაავადებებს ჩვეულებრივ ეწოდება შინაური ცხოველების ზოონოზები (ზოონ-ცხოველი, ნოზოს დაავადება). მათ მიეკუთვნება: ბრუცელოზი, რომლითაც ავადდებიან ცხვრები, თხები, ძროხები და ლორები; ციმბირის წყლული, რომლითაც ავადდებიან ცხენები, რქოსანი საქონელი, ლორები; ვირთაგვათა პარტახტიანი ტიფი, რომელიც თაგვებზეც გადადის; ყვითელი ლეპტოსპიროზი, რომლითაც ავადდებიან ვირთაგვები; ქოთაო—ცხენების დაავადება, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ჰელმინტოზები (ჭიებით დაავადება). ამ სნეულებებით ადამიანი ავადდება შინაური ცხოველებისა ან მლრღნელებისაგან.

სნეულებათა მესამე ჯგუფი იწოდება გარეული ცხოველების ზოონოზებად, რადგან ამ სნეულებებით ავადდებიან ადამიანის მიერ ჯერ კიდევ აუთვისებელ ადგილებში მყოფი სხვადასხვა სახის გარეული ცხოველები. ასეთ სნეულებათა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ტკიპიერი ენცეფალიტი. ამ სენით ავადდებიან თრითინები

(ციყვის ერთ-ერთი სახე) და ტაიგის სხვა მკვიდრნი, რომლებზეც სენი გადადის ტკიპის კბენის საშუალებით. გარეული ცხოველების ზოონოზად ითვლება აგრეთვე ტულარემია. ამ სენით ავადდებიან წყლის ვირთაგვები და სხვა თაგვისმაგვარი მღრღნელები.

გარეული ცხოველების ზოონოზებს მიაკუთვნებენ შავ ჭირს, რომელიც მუსრს ავლებს ციყვებს, მექვიშიებს, ზაზუნებს. ეს სნეულება ერთი ცხოველიდან მეორეზე გადადის ამ მღრღნელების რწყილების საშუალებით. იმ ადგილებს, სადაც ეს სენი გავრცელებულია და სადაც ზემოაღნიშნული ცხოველები და სნეულების გადამტანნი ბინადრობენ, ამ დაავადებათა ბუნებრივი კერები ეწოდება.

თუ ადამიანი ამ ადგილებში მოხვდა, შესაძლოა ისიც დაავადდეს. საამისოდ საკმარისია მას უკბინოს უკვე დაავადებულმა მწერმა ან ტკიპამ, ან კიდევ ადამიანს შეიძლება ეს სენი შეეყაროს ნანაღირევი ცხოველისაგან — მისი გატყავების დროს (ამ ადგილების ბევრ ცხოველს ძვირფასი ბეჭვი იქვს).

მოძღვრება გადამდებ სნეულებათა ბუნებრივი კერების არსებობის შესხებ დაასაბუთა ცნობილმა რუსმა ეპიდემიოლოგმა დ. კ. ზაბოლოტნიმ და დეტალურად დაამუშავა გამოჩენილმა საბჭოთა პარაზიტოლოგმა აკადემიკოსმა გ. პ. პავლოვსკიმ. მან ცხადყო, რომ გადამდებ სნეულებათა ბუნებრივი კერები ჩნდება ამა თუ იმ ადგილის ბუნებრივი პირობების შესაბამისად. საამისოდ საჭიროა, რომ ამ ადგილებში არსებობდნენ თბილისხლიანი ცხოველები და ფეხსახსრიანი გადამტანნი; ისინი არიან პარაზიტ-ალბდვრელთა მტარებელნი (შემნახველნი). მაგალითად, ტკიპიერი ენცეფალიტის ბუნებრივი კერები გვხვდება ტყიან (ტაიგიან) ადგილებში, სადაც ბინადრობენ თრითინები, სხვა მღრღნელები და აგრეთვე ტკიპები. ტკიპები სნეულდებიან ენცეფალიტის ვირუსით დაავადებული მღრღნელების სისხლით კვების დროს და თავის მხრივ სენს გადასცემენ სხვა ცხოველებს. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ ვირუსები კვერცხების საშუალებით ტკიპების მომავალ თაობასაც გადაეცემა. ამრიგად წარმოიშვა გადამდებ სნეულებათა ბუნებრივი კერები; მრავალი მათგანი ადამიანის წარმოშობამდე დიდი ხნით აღრე არსებობდა. ადამიანის მიერ ბუნებრივი კერების ათვისება იწვევს ჩამოყალიბებული ბუნებრივი კავშირის დარღვევას და ბუნებრივი კერების ლიკვიდაციას. თუ მიღებული არ იქნა სპეციალურ დამცველი ზომები, ინფექციის ბუნებრივ საცავთან ადამიანის კონტაქტს შეი-

ძლება მოჰყვეს თვით ადამიანთა დაავალება ამ გადამდები სენით. აკადემიკოსმა ე. ნ პავლოვსკიმ და მისმა მოწაფეებმა შეიმუშავეს ლონისძიებათა სისტემა ადამიანთა დაავალებების პროფილაქტიკისა გადამდებ სნეულებათა ბუნებრივ კერებში. ამ ლონისძიებებს ამჟამად ფართოდ იყენებენ კომუნიზმის მშენებლობებზე, რაღაც პიდროკვანძებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობა ხშირად ადამიანის მიერ ნაკლებად ათვისებულ რაიონებში ტარდება, სადაც შეიძლება გადამდებ სნეულებათა ბუნებრივი კერები შეგვხდეს.

ამრიგად, ამჟამად არსებული, ადამიანისათვის საშიში გადამდები სნეულებანი ხასიათდება მათი აღმძვრელი პარაზიტების, ამ აღმძვრელ პარატიზტთა მატარებელი ცხოველების, ადამიანთა და ცხოველთა შორის აღმძვრელთა გავრცელების გზების დრო მრავალფეროვნებით და, ბოლოს, ინფექციური პროცესის მსვლელობის, მისი კლინიკური გამოვლინებისა და იმუნიტეტის მრავალფეროვნებით. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ადამიანის მრავალრიცხოვანი გადამდები სნეულებანი პარაზიტების ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია; თავის მხრივ ამ ევოლუციის კავშირი აქვს ცხოველებისა და ადამიანის ორგანიზმის თავზაცვითი რეაქციის ევოლუციასთან, რაც მიმართულია ორგანიზმი პარაზიტების შეჭრის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს ხდებოდა სხვადასხვა, მუდმივად ცვალებად გარემოში.

როგორია ადამიანის გადამდებ სნეულებათა წარმოშობის ფესვები და ევოლუციის გზები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდოლობდა ბევრი მკვლევარი ჩვენში და საზღვარგარეთ.

ფრანგი მიკრობიოლოგი შ. ნიკოლი ფიქრობდა, რომ თუ პარაზიტი შეეგუა ადამიანის ორგანიზმს, მისგან გამოწვეული დაავალება პირველ ხანებში მძიმე და მწვავე ფორმებში მიმდინარეობს; შემდეგ აღმძვრელი თანდათანობით ნაკლებად ზიანის მომტანი (პათოგენური) ხდება, ავადმყოფობა კეთილთვისებიან და ქრონიკულ შიმდინარეობას იღებს. საბოლოოდ საქმე იმით მთავრდება, რომ დაავალების აღმძვრელი გარდაიქმნება უვნებელ პარაზიტად, რის შედეგად ქრება („კვდება“ — ნიკოლის გამოთქმით) თვით დაავალებაც.

ეს თვალსაზრისი ძირფესვიანად მცდარია. ეპიდემიების ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ნიკოლის მოგონილი გადამდებ სნეულებათა ევოლუციის სქემა ეწინააღმდეგება მეცნიერების მიერ

დაგროვილ ფაქტებს. ისეთი სნეულებანი, როგორიცაა ყვავილი, ხოლერა, შავი ჭირი, ცნობილი იყო შორეულ წარსულში, მაგრამ გავლილ ათეულ საუკუნეებში ყვავილის ვირუსი, ჭირისა და ხოლერის ბაქტერიები არ გამხდარან უვნებ პარაზიტებად, ხოლო თვით ეს სნეულებანი არ გამქრალან. ნიკოლი უგულებელყოფს გადამდებ სნეულებათა გავრცელების სოციალურ მიზეზებს; ამავე დროს სავსებით ნათელია, რომ ჭლექის ფართოდ გავრცელება კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის ღარიბ ფენებში და მისი ავთვისებიანი მიმდინარეობა დამოკიდებულია არა ჭლექის ბაქტერიების განსაკუთრებულ თვისებებზე, ბაქტერიებისა, რომლებიც თითქოს ღარიბებს ირჩევენ, არამედ ექსპლოატირებული კლასების ცხოვრების მძიმე პირობებზე კაპიტალიზმის დროს. თუ დავეთანხმებით ნიკოლის, მაშინ საჭიროა პასიურად ველოდოთ დაავადების ბუნებრივ „სიკვდილს“ და არა აქტიურად ვებრძოლოთ მას.

ინგლისელი ვირუსოლოგის ბერნეტის აზრით, აღამიანთა ვირუსული დაავადების გამომწვევნი „მუტაციის“ შედეგად გაჩნდნენ; მანამდე ამ გამომწვევთა უვნებელი წინაპრები პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ ცხოველთა ან ადამიანთა ორგანიზმში.<sup>1</sup> თუ მუტაცია „წარმატებითია“, მაშინ დაავადება შეიძლება განსაზღვრულ პირობებში ფართოდ გავრცელდეს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ გადამდებ სნეულებათა ევოლუციის ასახსნელად რეაქციული ვეის-მანიზმის გამოყენების ცდები ანტიმეცნიერულია.

მოტანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ბურუუაზიულმა მეცნიერებმა ვერ შეძლეს შეემუშავებიათ ადამიანის გადამდებ სნეულებათა წარმოშობისა და ევოლუციის სწორი თეორია. მათი შეხედულებანი ანტიმეცნიერულია და გამსჭვალულია იდეალისტური ფილოსოფიით.

არც ერთ ბურუუაზიულ მეცნიერს არ უცდია გამოერკვია სოციალური ფაქტორების მნიშვნელობა ადამიანის გადამდებ სნეულებათა ევოლუციაში. გასაკვირი არ არის, რომ ეს თეორიები ეწინააღმდეგება მეცნიერების მიერ დაგროვილ ფაქტებს.

<sup>1</sup> მუტაციებს ბურუუაზიული რეაქციონერი ბიოლოგ-ვეისმანისტები უწოდებენ ცოცხალი არსების თვისებათა შეცვლას, მემკვიდრეობით გადასულს და გარემოსაგან დამოუკიდებლად, ნებისმიერად წარმოშობილს. რეაქციული ვეისმანიზმი მზილებულ და განადგურებულ იქნა ვ. ი. ლენინის სახელობის საკაგშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აგვისტოს სესიაზე (1948).

გადამდებ სნეულებათა წარმოშობისა და ეფოლუციის საკითხები სწორად არის გადაწყვეტილი ჩვენი სამშობლოს მეცნიერთა ნაშრომებში. ამ საკითხების ახსნა-განმარტებისათვის საჭირო განდა ბიოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა მიერ დაგროვილი დიდალი ფაქტების კრიტიკული გადამუშავება. გადამდებ სნეულებათა წარმოშობისა და ეფოლუციის საკითხები თავიანთ შრომებში განავითარეს ი. ი. მეჩინიკოვმა, დ. კ. ზაბოლოტნიმ, ე. ნ. პავლოვსკიმ, კ. ი. სკრიაბინმა, ვ. ა. დოგელმა, ლ. ვ. გრომაშევსკიმ, მ. ნ. სოლოვიოვმა, გ. ფ. ვოგრალიკმა, ვ. ა. ბაშენინმა, ვ. ნ. ბექლემიშევმა, ნ. ი. ლატიშევმა, ნ. ნ. სიროტინინმა, ვ. გ. უდანოვმა და ჩვენი სამშობლოს სხვა მეცნიერებმა.

გადამდები სნეულება წარმოადგენს უფრო ფართო მოვლენის — პარაზიტიზმის კერძო შემთხვევას. ორგანული სამყაროს ხანგრძლივი ეფოლუციის მსვლელობაში ცხოველთა და მცენარეთა მრავალი სახეობა ცხოვრების პარაზიტულ გზას დაადგა. პარაზიტიზმის ფორმები სხვადასხვანაირია.

პარაზიტიზმი შეიძლება იყოს საფალდებულო და არასაფალდებულო. მაგალითად, ლპობადი ბაქტერიების ერთ-ერთი სახე — ვულგარული პროტეი, ჩვეულებრივ, ვეხდება დამპალ ნარჩენებში, მაგრამ იგი შეიძლება პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდეს აღამიანის ნაწლავებში, მაშინ როდესაც მასთან ახლომდგომი სახე — ნაწლავის ჩეირი ითვლება ნაწლავების მუდმივ მაცხოვრებლად, თუმცა მას შეუძლია ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდეს ნაწლავების გარეთაც — გარე სამყაროში.

პარაზიტიზმი შეიძლება იყოს დროებითი და მუდმივი. მაგალითად, კოლოები თავიანთ პატრონებზე — თბილსისხლიან ცხოველებზე იმყოფებიან მხოლოდ სისხლის წოვის დროს, მაშინ როდესაც ტილები მუდამ ცხოველებზე არიან.

პარაზიტები შეიძლება იყვნენ გარეგანნი და შინაგანნი. მაგალითები ზემოთ მოვიტანეთ, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი პარაზიტი შეეგუა განსაზღვრულ ქსოვილებს, მაშინ როდესაც სხვები შეგუების ამ თვისებას ნაკლებად ამჟღავნებენ. მაგალითად, ტრაქომის აღმძევრელი მრავლდება მხოლოდ აღამიანის თვალის ლორწოვან გარსში; ერიტრაზმის სოკო ყოველთვის მხოლოდ საზარდულის ნაკეცების ქანს აზიანებს; ცოფის ვირუსი მრავლდება მხოლოდ ნერვულ ქსოვილში. ამგვარსავე მოვლენას ადგილი აქვს

უფრო დიდ პარაზიტებშიც. ადამიანზე პარაზიტულ ცხოვრებას ეჭევა სამი სახეობის ტილი: თავისა, ტანისა და ბოქვენისა; ამ ტილების აღგილსამყოფელი ცხადია თვით მათი სახელწოდებით. მუნის ტკიპა გზებს იკეთებს კანის ზედა ფენაში და არასოდეს არ შეიკრება უფრო ღრმად, გაშინ როდესაც ბუზანკალის ზოგიერთი მატლი ღრმად მდებარე ქსოვილებში ცჭრება და სხეულის ღრუებს იღწევს.

პარაზიტებს შეიძლება ჰყავდეთ ერთი ან რამდენიმე პატრონი. მაგალითად, კოლოები და სხვადასხვაგვარი ტკრპები იკვებებიან ადამიანის, შინაური ცხოველებისა და ფრენველების სისხლით. ჩვეულებრივად რწყილებს ჰყავთ პატრონთა განსაზღვრული რიცხვი, მეტწილად მლრღნელების მაგვარი ცხოველები; ტილები უმეტეს შემთხვევაში პარაზიტულ ცხოვრებას ერევიან მხოლოდ ერთი სახეობის პატრონზე. ადამიანის ტილი იკვებება მხოლოდ ადამიანის სისხლით, ვირთაგვას ტილი სხვა ცხოველებზე არ გადადის. კოფის ვირუსი შეიძლება გამრავლდეს თითქმის ყველა სახის ძუძუმწოვრისა და ფრინველის ორგანიზმში, თუმცა უფრო ხშირად მტაცებლების ორგანიზმში გვხვდება. ბრუცელოზის ბაქტერიები აავადებენ რამდენიმე სახეობის შინაურ ცხოველებს (რქოსან საქონელს, ლორს). წინააღმდეგ მოტანილი მაგალითებისა, მუცლის ტიფით ავალდებიან მხოლოდ ადამიანები. ინფექციური ანემია ეპართებათ მხოლოდ ცხენებს, ლორის ჭირი — მხოლოდ ლორებს.

პარაზიტის მიერ მისი პატრონისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა შეიძლება სხვადასხვა იყოს. ზოგიერთი პარაზიტი არა მარტო უვნებელი, არამედ სასარგებლოცაა პატრონისათვის. მაგალითად, ზოგიერთი მწერის ქსოვილებში გვხვდება ბაქტერიებისიმბიონტები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა იქვთ ამ მწერების ნივთიერებათა ცვლისათვის. მცოხნავი ცხოველების ნაწლავებში ბუღობენ ბაქტერიები, რომელიც ხელს უწყობენ ამ ცხოველების საკვებში მოთავსებული უჯრედების გადამუშავებას. პარაზიტების მნიშვნელოვანი რიცხვი თავისი პატრონისათვის უვნებელია. ასეთია ზოგიერი სახეობის ამება, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა ადამიანისა და ცხოველის ნაწლავებში, მრავალი სახეობის ბაქტერიები, რომელნიც კანზე და ლორწოვან გარზეს ცხოვრობენ. ზოგი მათგანი პირობით პათოგენურ სახედ ითვლება, ე. ი. პატრონს ზიანს აყენებს მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში. მაგალითად, ნაწლავის ჩეირი ჩვეულებრივ უვნებელია, ხოლო ზოგიერი

თი მას სასარგებლოდაც კი თვლის, რაღან იგი ხელს უშლის მუც-  
ლის ტიფური და დაზენტერიული ბაქტერიების განვითარებას, შაგ-  
რამ ორგანიზმის დასუსტებისას შეუძლია გაიჭროს ნაწლავების გა-  
რეთაც და გამოიწვიოს ჩირქოვანი პროცესები, ნაწლავების დაჭრი-  
სას კი — მუცლის ღრუს სასიკვდილო ანთება. ბოლოს, პარაზიტე-  
ბის მნიშვნელოვანი ჯვუფი ზიანს იყენებს პატრონის ორგანიზმს.  
მათ შორის არიან როგორც დროებითი, ისე მუდმივი პარაზიტე-  
ბი; სწორედ ეს უკანასკნელი ითვლებიან გადამდებ სნეულებათა  
აღმცვრელებად, ისინი იწვევენ სხვადასხვა ფორმის ზემოაღწერილ  
ინფექციურ პროცესებს.

პარაზიტები წარმოიშვნენ თავისუფლად მცხოვრები ფორმე-  
ბისაგან. ბევრი მათგანისათვის შეიძლება დადგენილ იქნას პარა-  
ზიტული ცხოვრების წესთან მათი შეგუების ძირითადი ეტაპები.

ასე მაგალითად, სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში გვხვდე-  
ბა ბუზები, რომლებიც მატლებს შობენ. ეს მატლები იჭრებიან ცხო-  
ველთა (და ხანდახან ადამიანის) კანქვეშ და იკვებებიან ქსოვილე-  
ბით, რომლებშიაც ლრღნიან მრავალრიცხოვან გზებს, პარაზიტე-  
ბის ასეთი სახეობა შემდეგნაირად წარმოიშვა: ბრავალრიცხოვანი  
სახეობის ბუზები ჰყრიან კვერცხებს ნოტიო ლპობად ორგანულ  
ნარჩენებზე, სადაც მატლები ნახულობენ უხვ საკვებს მათი განვი-  
თარებისათვის. ზოგიერთი სახეობის ბუზები გასავითარებლად შე-  
ევჭენ ცხოველების გვამს, სადაც საკვები კრდევ უფრო უხვადაა.  
ამივე დროს მატლებს განუვითარდათ მლრღნელი ყბები, რომელთა  
საშუალებითაც ისინი უფრო ღრმად იჭრებიან გვამის სილრმეში;  
მაგრამ თუ კვერცხები დაყრილ იქნა გვამის ზედაპირზე, ე. ი. ცხო-  
ველის კანზე, კვერცხები შრება და მათგან გამოსაჩეკი მატლები  
იღუპება. ამის გამო ზოგიერთი სახეობის ბუზები შეეგუენ ამ პი-  
რობებს და დაიწყეს ისეთი მატლების დაყრი, რომელნიც სწრა-  
ფად იჭრებოდნენ გვამის სილრმეში. სწორედ ამ თვისებამ მისცა  
მათ საშუალება შეეგუონ პარაზიტულ ცხოვრებას ცოცხალ ორგა-  
ნიზმში. ამ დასკვნის სისწორე დასტურდება, სხვათა შორის, იმით,  
რომ ამჟამადაც შემონახულია ბუზების ისეთი სახეობანი, რომელ-  
ნაც თითქოს ამ ევოლუციის სხვადასხვა ეტაპს წარმოადგენენ.

თავისუფლად მცხოვრები ფორმების პარაზიტულ ცხოვრებას-  
თან შეგუების მაგალითია აგრეთვე ამების ევოლუცია. ეს უმარტი-  
ვესი ცხოველი ბლომად გვხვდება დამდგარ წყალში, რომელიც

შეიცავს ორგანული ნივთიერების დიდ ოაოდენობას. ცხოველთა ნაწლავებში აღმოჩენილია მრავალი სახეობის ამებანი, რომელნიც უახლოვდებიან წყალში მცხოვრებ სახეობებს. ზოგი მათგანი ითვლება დროებით, სხვები კი — მუდმივ პარაზიტებად. უეჭველია, რომ პარაზიტული სახეობანი თავისუფლად მცხოვრებთაგან წარმოიშვნენ, ისინი წყალთან ერთად ხვდებოდნენ ცხოველის ნაწლავებში, პოულობდნენ იქ მდიდარ საკვებ მასალას, ბევრი მათგანი კი თანდათანობით ეგუებოდა პარაზიტულ ცხოვრებას, რის შედეგადაც მათგან წარმოიშვნენ მრავალრიცხოვანი სახეობის პარაზიტული ამებები. ზოგმა მათგანმა დასძლია ორგანიზმის დამცველი ძალები, შეიჭრა ნაწლავის კედლებში, შემდეგ — შინაგან ორგანოებში და, ამგვარად, გაჩნდნენ ცხოველთა და ადამიანის ამებიაზის წარმომშობნი.

ეს ორი მაგალითი სავსებით საკმარისია იმ საერთო დასკვნის გამოსატინად, რომ პარაზიტული სახეები წარმოიშვნენ თავისუფლად მცხოვრებ სახეობათაგან, პატრონის ორგანიზმის კვებისადმი შეგუებისა და ამ ორგანიზმის გამონაყოფთა ხარჯზე ცხოვრების შედეგად. შემდგომში ზოგიერთმა ამ პარაზიტმა შეითვისა პატრონის ქსოვილში შეჭრის თვისება, რაღაც დასძლია ამ ორგანიზმის თავდაცვითი ძალები. ამ ახალშა თვისებამ მთელ რიგ შემთხვევებში ის გამოიწვია, რომ უვნებელი პარაზიტი პათოგენური, ე. ი. გადამდებ სწეულებათა აღმძვრელი ხდებოდა.

თავისუფლად მცხოვრებ სახეობათა ევოლუცია განისაზღვრება იმ გარემოს პირობებით, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ. პარაზიტული სახეებისათვის, განსაკუთრებით მუდმივი პარაზიტებისათვის, სამკვიდრო გარემოდ პირველყოვლისა პატრონის ორგანიზმი ითვლება. ამიტომ პარაზიტების ევოლუცია მტკიცედ არის დაკავშირებული პატრონის ევოლუციასთან. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ ერთნაირა წარმოშობის ცხოველთა სახეობებს ხშირად ჰყავთ საერთო ან ურთიერთ მსგავსი პარაზიტები. მაგალითად, ადამიანები და მაიმუნები ივადდებიან მალარიით, რომელიც გამოწვეულია მონათესავე აღმძვრელებით. მოიპოვება მრავალი მლალნელი, რომლებზეც ბინადრობენ პარტახტიან - ტიფური ცხელების აღმძვრელი რიკეტსიების ერთმანეთთან ახლომდგომი სახეობანი.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ პატრონის ორგანიზმთან ურთიერთდამოკიდებულებით ამოიწურება გარემოს გავლენა პარაზიტზე. პატრონზე მოქმედი გარემო გავლენას ახდენს პარაზიტზეც, რადგან, ჯერ-ერთი, პარაზიტი დაავადებული ორგანიზმიდან საღ ორგანიზმი გადასვლისას ხშირად გამოდის გარეთ და, გარდა ამისა, პატრონის ცხოვრების პირობები არსებით გავლენას ახდენს პარაზიტზე. აი კიდევ რამდენიმე მაგალითი ამ აზრის ნათელსაყოფად. სწორულების ჰაეროვან-წვეთოვანი გზით გადაცემისას აღმძვრელი გარე სამყაროში იმყოფება მინიმალური დროის განმავლობაში, რის გამოც მრავალმა მიკრობმა, რომელიც ამ გზით გადადის, ევოლუციის მსვლელობაში ვერ გამოიმუშავა შეგუების უნარი, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ დიდი ხნით შეენარჩუნებიათ ცხოველმყოფელობა დაავადებული ორგანიზმის გარეშე. მართლაცდა, სინამდვილეში წითელას და გრიპის ვირუსები, ყივანახველის ბაქტერიები გარე სამყაროში ჩქარა იხოცება. ნაწლავთა გზით გადაცემისას, როდესაც დაავადებისათვის საჭიროა ნაწლავთა შიგთავსის მოხვედრა პირის ღრუში, აღმძვრელმა საამისოდ უნდა გაიაროს ხანგრძლივი გზა გარე სამყაროში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ნაწლავთა ინფექციის აღმძვრელნი ჩვეულებრივ შეიძლება დიდხანს ინარჩუნებდნენ სიცოცხლეს გარემო სამყაროში. მუცლის ტიფური და ხოლერის ბაქტერიები ცხოველმყოფელობას ინარჩუნებენ რამდენიმე კვირის განმავლობაში, თუ წყალში ან ნიაღაგში მოხვდნენ, ზოგიერთი ჭიის კვერცხები — მრავალი თვის განმავლობაში. ხოლო ციმბირის წყლულის ბაქტერიების სპორები, რომლებითაც ცხოველები ავადდებიან ნიაღაგის მეშვეობით (დასვრილი ბალახის ძოვისას), — მრავალი წლის განმიღლობაშიც კი.

პარაზიტების ევოლუცია ხშირად ახალი პატრონის ორგანიზმში პარაზიტული ცხოვრების წესთან შეგუებაზეა დამოკიდებული. ტულარემიის ზუნებრივი კერები დაკავშირებულია იმ ადგილებთან, სადაც წყლის ვირთაგვები ბინადრობენ. ისინი ითვლებიან ტულარემიის მიკრობებისა და მათ გადამტანთა — რწყილებისა და ტკიპების პატრონებად. წყლის ვირთაგვების ადგილსამყოფელის მეზობლად მცირე თაგვისმაგვარ მღრღნელთა მასობრივად მომრავლებისას ტულარემიის ეპიზოოტია ხშირად გადადის თაგვისმაგვარ მღრღნელებზე, შემდეგ კი ვრცელდება მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, ამასთან ეპიზოოტიკური პროცესი ვრცელდება კურდღლებსა

და სხვა ცხოველებზეც. ასეთი მოვლენები ხშირად გვხვდება და ბევრი პარაზიტი ევოლუციის მსვლელობაში რამდენიმეჯერ იცვლის თავის პატრონს. პარაზიტების გაცვლა-გამოცვლა შესაძლოა მოხდეს არა მარტო მონათესავე, არა და ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებულ სახეობათა შორისაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შინაური ცხოველები, რომელთაგან ბევრს საერთო პარაზიტები ჰყავს: თავვის ტიფის ბაქტერიები აღმოაჩნდა თაგვებს, რქოსან საქონელს, ბატებსა და ქათბებს; ყვავილის ვირუსი — ყველა შინაურ ძუძუმწოვარს, ხოლო მისი მსგავსი ვირუსი — თაგვებს და ა. შ.

ამრიგად, პარაზიტების ევოლუციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი პატრონის სიცუკლის პირობებს. ეს პირობები შეიძლება ხელს უწყობდეს პარაზიტების გავრცელებას ან, პირიქით, იწვევდეს მათ სიკვდილს. ამ პირობებს შეუძლია ხელი შეუწყოს ევოლუციის სწრაფ ტემპს, ან მის მკვეთრად გამოხატულ ცვლილებებს, ან კიდევ, პირიქით, პარაზიტულ სახეობებს დიდი ხნით შეანარჩუნებინოს უცვლელად ბიოლოგიური თვისებები. ეს პირობები შეიძლება აგრეთვე გახდეს მიზეზი პარაზიტის შეგუებისა ერთ განსაზღვრულ პატრონთან, მისი ორგანიზმის განსაზღვრულ ადგილთან, ანდა გამოიწვიოს სრულიად საწინააღმდეგო შედეგი, სახელდობრ, ბევრი და ფრიად სხვადასხვა სახეობის ორგანიზმი პარაზიტულად ცხოვრებისადმი შეგუების შესაძლებლობა. პარაზიტების ყველა ეს ბიოლოგიური თავისებურება შეგუებითი ხასიათისაა და უზრუნველყოფს ამა თუ იმ პარაზიტული სახეობის შეშენარჩუნებას და გამრავლებას. თუ პარაზიტმა ვერ მოასწრო ან ვერ შეძლო თავისი პატრონის ცხოვრების ცვალებად პირობებთან შეთვისება, ის იღვება და, მაშასადამე, მის მიერ გამოწვეული გადამდები სწორულებაც ქრება. ამრიგად, პარაზიტების ევოლუცია ემორჩილება დარვინისა და მიჩურინის მიერ აღმოჩენილ ორგანული სამყაროს ევოლუციის კანონებს.

რით განსხვავდება ადამიანის გადამდები სწორულებანი ცხოველების გადამდებ სწორულებათაგან? უჭველია, მათ აქვთ საერთო ბიოლოგიური საწყისი. ცხოველების გადამდები სწორულება, ისე როგორც ადამიანის გადამდები სწორულება, მიეკუთვნება ბიოლოგიურ მოვლენებს, რადგან ინფექციური პროცესის ძირითად შინაარსს პათოგენური პარაზიტებისა და მათი პატრონის ორგანიზ-

მის (მაკროორგანიზმის) ურთიერთდამოქიდებულება შეადგენს; ხოლო ეპიდემიური ან ეპიზოოტიკური პროცესის ძირითადი შინაარსია აღმძვრელის გადასვლა დაავადებული ორგანიზმიდან ჯანმრთელ ორგანიზმში ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აღმძვრელის გავრცელება თავის პატრონთა შორის.

მაგრამ მსგავსებასთან ერთად არ შეიძლება არ დავინახოთ ადამიანებისა და ცხოველების გადამდებ სწრებათა შორის არსებული განსხვავებაც.

ადამიანის ორგანიზმში წარმოშობილი ინფექციური პროცესი განსხვავდება ცხოველების ორგანიზმში წარმოშობილი ინფექციური პროცესისაგან. ეს იმიტომ, რომ ადამიანს აქვს განვითარებული ნერვული სისტემა, რომელიც თვისობრივად განსხვავდება ცხოველების ნერვული სისტემისაგან. ეს თვისობრივი განსხვავება, როგორც უდიდესში რუსში ფიზიოლოგმა ი. პ. პავლოვმა ცხადყო, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს აქვს ეგრეთწოდებული მეორე სასიგნალო სისტემა — მეტყველება და აზროვნება, რომელიც ყველაზე უკეთ ორგანიზებულ ცხოველებსაც კი არ გააჩნიათ. რამდენადაც ნერვული სისტემა აწესრიგებს ყველა სასიცოცხლო პროცესს, ადამიანისა და ცხოველების ნერვულ სისტემათა ამ განსხვავებამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ინფექციური პროცესების მიმდინარეობაზე. აი რატომ არ ხერხდება, რომ ცხოველებზე მთლიანად გამოვიყვლიოთ იმ ინფექციური პროცესების ყველა თავისებურება, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარეობს. მაგრამ ყველაზე არსებითი განსხვავება ადამიანებისა და ცხოველების გადამდებ სწრებათა შორის მდგომარეობს არა იმ რეაქციის განსხვავებაში, რასაც იწვევს აღმძვრელის ამა თუ იმ ორგანიზმში შეჭრა, არამედ ეპიდემიური პროცესის თვისობრივ განსხვავებაში ეპიზოოტიკური პროცესისაგან.

ეპიზოოტიკური პროცესი — ეს არის ცხოველთა შორის აღმძვრელის გავრცელების პროცესი და ამიტომ იგი დამოკიდებულია ცხოველთა სიცოცხლის პირობებზე. ეპიზოოტიკური პროცესის მამოძრავებელი ძალებია ბიოლოგიური ფაქტორები, რადგანაც ცხოველთა სიცოცხლე ბიოლოგიურ კანონებს ემორჩილება.

ეპიდემიური პროცესი — ეს არის აღმძვრელის ადამიანთა შორის, ანუ საზოგადოებაში გავრცელების პროცესი და ამიტომ იგი

დამოკიდებულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებზე. ეპიდემიური პროცესის მამოძრავებელი ძალებია სოციალური ფაქტორები, რადგანიც ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება სოციალურ კანონებს ემორჩილება. ამ აზრის უფრო ნათელსაყოფად დავაზუსტოდ იგი მაგალითით, საიდანაც დავინახავთ განსხვავების არსებობის ეპიდემიურ და ეპიზოოტიკურ პროცესებს შორის.

ტკიპით გადატანილი ენცეფალიტი მიეკუთვნება იმ გარეული ცხოველების დაავადებებს, რომელნიც ბუნებრივ პირობებში ცხოვრობენ. ტკიპური ენცეფალიტის ვირუსის პატრონად ითვლებიან ტაიგაში მობინადრე თრითინები და ტკიპები, აგრეთვე ამ აღვილების მკვიდრ ნადირთა ზოგიერთი სხვა სახეობა. ტკიპები ავადდებიან ავადმყოფ ნადირთა სისხლის საშუალებით, რომლითაც ისინი იკვებებიან. შემდეგ მათ ვირუსი გადააქვთ ჯანსალი ცხოველის სისხლის მოწოვით. გარდა ამისა, დაავადებულმა ტკიპებმა ვირუსი შეიძლება გადასცენ შთამობავლობას კვერცხების საშუალებით. ამრიგად წარმოიშობა განუწყვეტილი ეპიზოოტიკური პროცესი, რის შემწეობითაც ენცეფალიტის ვირუსი ინარჩუნებს სიცოცხლეს, მიუხედავად იმისა, რომ ენცეფალიტით დაავადებულ თრითინებს გამოღმუშავდებით იმუნიტეტი, რომელიც იწვევს ვირუსის დაღუპვას მათ ორგანიზმში, ხოლო დაავადებული თრითინებისა და ტკიპების ნაწილი იღუპება სხვადასხვა მიზეზით. ვირუსის თვითეული პატრონი — თრითინა და ტკიპა — შეეგუა ტაიგაში ცხოვრებას, და გასაკვირი არ არის, რომ ტკიპური ენცეფალიტის კერები არსებობს მხოლოდ ტაიგიან აღგილებში, ისიც ისეთ აღგილებში, საღაც იმავე დროს არსებობენ თრითინები და ტკიპები. მეტიც, ტკიპური ენცეფალიტის კერების არსებობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ორივე პატრონი საკმაო რაოდენობით მოიპოვება. თუ, მაგალითად, თრითინებს მუსრი გაავლო რომელიმე მტაცებელმა ან ისინი დაილუპნენ საკვების სიმცირის შედეგად (მაგალითად, წიწვოვანი ხეების გირჩის მოუსავლობისას, რითაც ისინი იკვებებიან), მაშინ ეპიზოოტიკური პროცესი შესუსტებული იქნება ან სულ შეწყდება, რასაც ვირუსის დაღუპვა და მისი ბუნებრივი კერების მოსპობა მოჰყვება. იგივე შეიძლება მოხდეს ტკიპების რაოდენობის მკვეთრი შემცირებით, — თუ ისინი ფრინველებმა გაანადგურეს, ან თუ მეტეოროლოგიურმა ფაქტორებმა ხელი არ შეუწყო მატლების გამოჩეკა - განვითარებას და ა. შ. ამრიგად, ეპიზოოტიკური

პროცესის ინტენსიონია და თვით მისი არსებობა დამოკიდებულია ბიოლოგიურ ფაქტორებზე; იგივე ფაქტორები ითვლება მის მამო-ძრავებელ ძალებად.

სულ სხვა ხასიათის პროცესებია შემჩნეული ხოლერის დროს, რომელიც ადამიანის სენად ითვლება და რომლითაც ცხოველები არ ავადდებიან. ხოლერით ავადმყოფი განავალთან ერთად გამო-ჰყოფს ხოლერის ვიბრიონებს (ბაქტერებს). ხოლერა გადამდებია ავადმყოფობის მთელ პერიოდში, რის შედეგად, თუ ავადმყოფი განკურნების გზას დაადგება, გამომუშავდება იმუნიტეტი, რაც იწ-ვევს ვიბრიონის დალუპვას ორგანიზმში. ზოგიერთი ავადმყოფი გან-კურნების შემდეგაც განაგრძობს ვიბრიონების (ბაცილმტარებლე-ბი) გამოყოფას, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება — არა უმე-ტეს 2—3 თვისა; გარდა ამისა, ზოგიერთ ადამიანს სენი შეიძლება გადაედოს, მაგრამ თვითონ არ დაავადინეს და რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში განავალთან ერთად გამოჰყოს ხოლერის ვიბრიონი. ხოლერის ვიბრიონი მალე ილუპება გამოშრობის დროს და მზის სხივებისაგან, მაგრამ შეუძლია რამდენიმე დღე გაძლოს წყალში. ის შეიძლება გადავიდეს აგრეთვე ბუზის საშუალებით, რომლის თათებზეც იგი რამდენიმე საათის განმავლობაში ინარჩუ-ნებს სიცოცხლეს, ხოლო მის ნაწლავებში — რამდენიმე დღის გან-მავლობაში. ხოლერით დაავადება ხდება ხოლერის ვიბრიონებით გაბინძურებული სასმელი წყლის ან საკვების ხმარებისას. ხოლე-რის ვიბრიონით წყლის გაბინძურება ხდება იმ შემთხვევაში, რო-ცა ავადმყოფთა და ბაცილმტარებელთა განავალი წყალსაცავებში მოხვდება იქ სიბინძურის ჩაშვების, თეთრეულის რეცხვის, ბანაო-ბის დროს. საკვები შესაძლოა გაბინძურდეს ხელების ან, რაც უფ-რო ხშირად ხდება ხოლმე, ბუზების მეშვეობით.

ხოლერის ვიბრიონის აღნიშნული თვისებით, ინფექციური პროცესის მიმდინარეობით და ხოლერის გავრცელების სხვადასხვა გზებით აიხსნება მისი კერების თავისებურებანი. ხოლერა გავრცე-ლებულია უპირატესად ცხელ ქვეყნებში, სადაც ამავე დროს ტე-ნიანი ჰავაა, და მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, სადაც მოსახ-ხლეობა ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობს. ხოლერის უძვე-ლეს კერად ითვლება ინდოეთი, სადაც მდინარე განვისა და ბრა-მაპუტრის დაბლობებში უკვე რამდენიმე საუკუნეა არსებობს ხო-ლერის კერები. თბილი ტენიანი ჰავა და მრავალი დაგუბებული

წყალი ხელს უწყობს გარე სამყაროში ხოლერის ვიბრიონის შენარჩუნებას, მაგრამ ეს არაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ინდოეთი ხოლერის მსოფლიო კერად ითვლება. დედამიწის ზურგზე მრავლად გვხვდება მსგავსი კლიმატური პირობების მქონე აღგილები, მაგალითად, აფრიკის ცენტრალურ რაიონებში, ბრაზილიაში, მაგრამ ამ აღგილებში ხოლერა არ არის. ინდოეთში ხოლერის ხანგრძლივი არსებობის მიზეზად უნდა ჩაითვალოს მოსახლეობის ცხოვრების პირობები. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იქ საშინელ პირობებში ცხოვრობს: წყლები ბინძურდება, სამედიცინო დახმარება არ არის; ამ უკანასკნელ დრომდე არსებობდა ჩვეულება, რომელსაც საფუძვლად ედო რელიგიური ცრუმორწმუნეობა და რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მიცვალებულებს მდინარეში ყრიდნენ.

ამ პირობებში მთელი წლის განმავლობაში ხდება აღამიანთა ხოლერით დაავადება წყლისა და საყოფაცხოვრებო ურთიერთობის მეშვეობით. ხოლო ზაფხულის პერიოდში დაავადების რაოდენობა მკვეთრად მატულობს ბუზების მიზეზით, რომლებიც ლპობად ნარჩენებზე მრავლდებიან და შემდეგ საკვებ პროცესტებს აბინძურებენ. მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების მძიმე პირობები ათეული საუკუნეების განმავლობაში არ უმჯობესდებოდა, მეტიც — ინგლისელების მიერ ინდოეთის დამონების შემდეგ სილატაკემ და ექსპლოატაციამ კიდევ უფრო იმატა, რამაც გამოიწვია ხოლერით დაავადების ზრდა.

კაპიტალისტურ პერიოდამდე ხოლერა ინდოეთის ფარგლებს არ გასცილებია, რადგან იმ ხანებში სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებს შორის ეკონომიური კავშირი ნაკლებად იყო განვითარებული. კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც ხალხთა შორის ეკონომიური კავშირი განვითარდა, განმტკიცდა და შეიქმნა პირობები ხოლერის გასავრცელებლად ინდოეთის საზღვრებს გარეთაც, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. და მართლაც, გასული და მიმდინარე საუკუნეების მანძილზე ექვსმა პანდემიამ (მსოფლიო ეპიდემიამ) მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. ხოლერა შეჰქონდათ ევროპაში, ამერიკაში და სხვა კონტინენტებზე, ის თან ახლდა გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობას. ევროპის სახელმწიფოთა დიდ ქალაქებში — ლონდონში, პარიზში, ჰამბურგში, პეტერბურგში, შეტანილი ხოლერა იქ ხშირად წლების განმავლობაში მდვინვარეობდა, რადგან მოსახლეობის ცხოვრების პირობები

ხელს უწყობდა მის ეპიდემიურ გავრცელებას. მუშათა კლასი და მოსახლეობის სხვა მშრომელი ფენები შექუჩებული იყვნენ ქალაქის ყველაზე კეთილმოუწყობელ აღგილებში და სილარიბე-სივიწროვეში ცხოვრობდნენ. მდინარეებში, საიდანაც სასმელ წყალს იღებდნენ, განუწყვეტლივ ჩადიოდა სიბინძურე. ზაფხულის პერიოდში საცხოვრებელ აღგილებსა და ბაზრებს უამრავი ბუზი ეხვეოდა. გასაკვირი არ არის, რომ ამ პირობებში ხოლერის ეპიდემია ათიათა-სობით დაავადებას იწვევდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში, სპეციალური საკარანტინო ლონისძიებების, წყალსადენთა მშენებლობისა და წყლის გაუსნებოვნების შედეგად, შეიზღუდა ხოლერის ეპიდემიებას გავრცელება. მაგრამ ინდოეთში და მის მოსაზღვრე კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ხოლერა აშეამაღაც ყოველწლიურად მუსრს ავლებს ათიათასობით აღამიანს. ხოლერის არსებობა და მისი გავრცელება, როგორც მოტანილი მონაცემებით ვხედავთ, დამოკიდებულია აღამიანთა ცხოვრების პირობებზე, სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც ეპიდემიური პროცესის მამოძრავებელ ძალებად ითვლება კიდეც. ხოლერის ლიკვიდაცია ინდოეთში და სხვა ქვეყნებში, სადაც ის გავრცელებულია, შეიძლება მხოლოდ ფართო სოციალურ — გამაჯანსალებელ ლონისძიებათა გატარებით, რაც განხორციელდება მხოლოდ კაპიტალისტური ექსპლოატაციის მოსპობით, ე. ი. თანამედროვე ინდოეთის სოციალური წყობილების შეცვლით.

ტკიბით გადატანილი ენცეფალიტის ბუნებრივი კერებისა და ინდოეთში ხოლერის კერის პირობების დაპირისპირება თვალსაჩინოდ გვისურათებს ძირითად განსხვავებას ეპიზოოტიკური და ეპიდემიური პროცესების მამოძრავებელ ძალებს შორის; ეს განსხვავება მდგომარეობს ამ პროცესების მამოძრავებელი ძალების — ეპიზოოტიკური პროცესის დროს ბიოლოგიური ფაქტორების და ეპიდემიური პროცესის დროს სოციალური ფაქტორების სხვადასხვა ხასიათში. ეს დაპირისპირება უფლებას გვაძლევს დავრწმუნდეთ შემდეგი დასკვნის სისწორეში: აღამიანის გადამდებ სნეულებათა ევოლუცია და მოსპობა განისაზღვრება აღამიანთა ცხოვრების საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობებით. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ აღამიანის აქტიურმა, ბუნების გარდამქმნელმა საქმიანობამ არსებითი გავლენა მოხდინა ცხოველების გადამდებ სნეულებათა ევოლუციაზეც.

ამჟამად არსებულ ადამიანის გადამდებ სნეულებებს წარმოშობის სხვადასხვა ფესვები აქვს. შეიძლება მივუთითოთ ადამიანის გადამდებ სნეულებათა წარმოშობის შემდეგ ძირითად წყაროებზე. ამ სნეულებათა ერთი ნაწილით ადამიანის ჯერ კიდევ მაიმუნის-მაგვარი წინაპრები იფადდებოდნენ. მათ ადამიანთან ერთად განვლეს ხაგრძლივი ევრლუციის გზა და დღესაც გვხვდებიან. მეორენი წარმოიშვნენ ადამიანისათვის უვნებელ პარაზიტთა პათოგენური თვი-სებების გამომუშავების შედეგად. მესამენი ადამიანმა მიიღო მო-შინაურებული ცხოველების ან იმ ცხოველების მეშვეობით, რომ-ლებიც შეეგუენ ადამიანის საცხოვრებელში ბინადრობას ამ უკანასკნელის ნებისაგან დამოუკიდებლად. მეოთხე ჯგუფის სნეულე-ბანი წარმოიშვნენ უშუალოდ გარეული ცხოველების სნეულებათა-გან. დასასრულ, დაავადებათა მეხუთე ჯგუფი შედეგია ადამიანის ორგანიზმში თავისუფლად მცხოვრებ სახეობათა შეგუებისა პარა-ზიტული ცხოვრების წესთან.

უმჯობესია გადამდებ სნეულებათა აღნიშნული ჯგუფების წარ-მოშობა და ევოლუცია შევისწავლოთ კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

დაავადების პირველი ჯგუფი ყველაზე მცირერიცხოვნად ით-ვლება, და ეს არც არის საკვირველი. მაიმუნის ადამიანად გადა-ქცევის პროცესს თან ახლდა ადამიანისა და მისი წინაპრების ცხოვრების პირობების იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომ პარაზიტების მხოლოდ მცირე რიცხვს შეეძლო შეგუებოდა ცვა-ლებად პირობებს და შეენარჩუნებია თავისი ბიოლოგიური სახეო-ბანი. იმ სნეულებათა რიცხვს, რომლებიც ადამიანმა მემკვიდრეო-ბით მიიღო თავისი წინაპრებისაგან, მიეკუთვნება მალარია, რომ-ლის აღმძვრელად ითვლება პლაზმოდიუმი — უმარტივესი ცხოვე-ლური ორგანიზმი. ამჟამად ცნობილია მალარიის ოთხი აღმძვრე-ლი, რომლებიც ბიოლოგიურად ერთმანეთს ენათესავებიან. სამი მათგანი — ეგრეთწოდებული სამდლიური, ტროპიკული და ოთხ-დლიური მალარიის პლაზმოდიუმები — ჯერ კიდევ გასულ საუკუ-ნეში აღმოაჩინეს, მეოთხე კი, ეგრეთწოდებული ოვალური პლაზ-მოდიუმი, იღმოაჩინილ იქნა ამ ცოტა ხნის წინათ. სამდლიური მა-ლარია გვხვდება თითქმის ყველგან, მაშინ როდესაც მისი დანარ-ჩენი ფორმები გვხვდება უმთავრესად ისეთ რაიონებში, სადაც ცხე-ლი ან თბილი ჰავაა. მალარია ადამიანზე გადადის ანოფელების

სახეობის კოლოს კბენის საშუალებით. ამჟამად არსებობს ამ კოლოს ასზე მეტი სახეობა. მათი უმრავლესობა გვხვდება დაუსახლებელ ადგილებში, მაგრამ ზოგი მათგანი აღამიანთა საცხოვრებლის ახლოსაც ბინადრობს. გარდა ადამიანის მალარიისა, ცნობილია მსგავს სწეულებათა დიდი რაოდენობა, რომლებითაც ძუძუმწოვრები და ფრინველები ავადდებიან და რომელთა აღმძვრელად იგრეთვე პლაზმოდიუმები ითვლება. ის პლაზმოდიუმები, რომლებიც სხვებზე უფრო ენათესავებიან აღამიანის მალარიის აღმძვრელს, იწვევენ მაიმუნთა დაავადებას.

ყველა ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ აღამიანის მალარიის აღმძვრელთა წინაპრები მისი იმ მაიმუნისმაგვარი წინაპრების მალარიის პლაზმოდიუმები იყვნენ, რომელნიც ხეებზე ბინადრობდნენ ტროპიკულ ტყეებში. როდესაც პირველყოფილმა ადამიანებმა ხელი მიჰყვეს მიწაზე დასახლებას და თევზის ჭამა დაიწყეს, ისინი სამოსახლოდ მდინარის ნაპირებს ეტანებოდნენ, თანაც ცხელი ადგილებიდან თანდათან უფრო ციფი ჰავის რაიონებისაკენ მიიწევდნენ. ამ რაიონებში არსებობდნენ აგრეთვე ანოფელესის მსგავსი კოლოები, თუ იქ იყო წყალსაცავები, სადაც ვითარდებოდნენ მათი მატლები; ეს კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ შექმნილიყო მალარიის შენარჩუნების ხელშემწყობი პირობები.

აღამიანთა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მალარიის შენარჩუნებას, რადგან ზოგიერთი სახეობის კოლო-ანოფელესები შეეგუენ ბინადრობას აღამიანის საცხოვრებლის ახლოს და იკვებებოდნენ აღამიანთა და შინაურ ცხოველთა სისხლით. სწორედ ამ პერიოდში და, შეიძლება, უფრო ადრეც წარმოიშვა მალარიის პლაზმოდიუმის რამდენიმე სახეობა. ერთმა მათგანმა, სამდლიური მალარიის პლაზმოდიუმმა, აღამიანთან ერთად შორს წაიწია ჩრდილოეთისაკენ, რადგან სხვებზე უფრო შეეგუა არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს. სამდლიური მალარიის პლაზმოდიუმის ერთ-ერთი სახესხვაობა ხასიათდება იმით, რომ დასწებოვნებისას მალარიის შეტევები, რაც დაკავშირებულია პარაზიტებით სისხლის გავსებასთან, ავადმყოფს ეწყება დიდი ხნის ფარული პერიოდის შემდეგ, რომლის ხანგრძლიობა 6—8 თვეს აღწევს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> არა ყოველთვის. — თარგმანის რედაქტორის შენიშვნა.

ამ თავისებურების შეგუებითი ხასიათი აშკარაა, რადგან ჩრდილოეთის რაიონებში მოკლე ზაფხულს მოსდევს ხანგრძლივი ცივი პერიოდი, როდესაც კოლოები აქტივობას უკვე აღარ იჩენენ, და ფარული პერიოდის ხანგრძლიობა უფრო ნაკლები (რამდენიმე კვირა) რომ ყოფილიყო, შეტევები ავადმყოფს დაეწყებოდა უკვე წელიწადის ცივ დროში, ე. ი. მაშინ, როცა პარაზიტის განვითარება კოლოში უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ხანგრძლივი ფარული პერიოდი იმას იწვევს, რომ ზაფხულში დასნეულებულ ადამიანებს მალარიის შეტევები ეწყებათ შემდგომი წლის გაზაფხულზე, როცა კოლოები ფრენას იწყებენ. მოკლე ზაფხულის განმავლობაში კოლოები ასწრებენ ჯანმრთელი ადამიანების დასნეულებას, რომლებსაც ავადმყოფობა გამოაჩნდებათ მომავალი წლის გაზაფხულზე. და ა. შ. ამით აიხსნება განუწყვეტელი ეპიდემიური პროცესის არსებობის შესაძლებლობა.

ამრიგად, ჯერ კიდევ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრინდელ ეტაპზე და სხვადასხვა კლიმატურ პირობებში შეიქმნენ ამჟამად არსებული მალარიის პლაზმონიუმების სახეობანი და ნაირსახეობანი. მალარიის სხვადასხვა ფორმის არსებობა უძველეს დროში დადასტურებულია ბერძენი ექიმის ჰიპოკრატის (ცხოვრობდა IV—V საუკუნეებში ჩენის წელთაღრიცხვამდე) მიერ ამ სენის საჭმაოდ ზუსტი აღწერილობით.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად მალარიის გავრცელება არათუ შემცირდა, არამედ, პირიქით, საგრძნობლად გადიდა, განსაკუთრებით კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა მალარიამ გადაინაცვლა ადამიანის მიერ ათვისებულ ახალ ადგილებში. სხვადასხვა ქვეყნებში წარმოიშვა ამ სნეულების უდიდესი კერები. ამჟამად მალარია ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ დაავადებად ითვლება: მთელ მსოფლიოში მალარიით ავადდება ასეულ მილიონობით ადამიანი. მალარიის ეპიდემები თან ახლდა მოაფალომს, რომლებიც ხელს უწყობდა მის შემდგომ გავრცელებას. პანამის არხის მშენებლობის დროს მალარიის ეპიდემიამ კატისტურ ფული ხასიათი მიიღო და ყვითელ ციებ-ცხელებასთან ერთად გაანადგურა მშენებელთა დიდი ნაწილი. მეურნეობის წარმოების კაპიტალისტური სისტემა სრულიად აქარწყლებს ზოგიერთ ქვეყანაში გატარებულ ეპიდემიის საჭინააღმდეგო ლონისძიებათა ეფექტურობას.

შხოლოდ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში განხორციელდა ისეთი ლონისძებანი, რომლებმაც ბოლო მოუღეს მალარიის ეპიდემიის გავრცელებას. სახალხო მეურნეობის გეგმიანი წარმართვა საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვცვრიტოთ და თავიდან ავიცილოთ მალარიის კერების წარმოშობის შესაძლებლობა ახალი რაიონების ათვისების დროს. მალარიასთან საბოლოოლიდ შექმნილია მალარიის საწინააღმდეგო მძლავრი ორგანიზაცია, რომელსაც იქვს მალარიის საწინააღმდეგო სადგურების მრავალრიცხოვანი ქსელი; შემუშავებულია ლონისძებათა უაღრესად სრულყოფილი სისტემა მალარიის პროფილაქტიკისა და მასთან ბრძოლის ხასით. სააპისოდ სახელმწიფო დიდალ სახსრებს ხარჯავს. ამ ლონისძებათა გატარების შედეგად მალარიით დაავადების რაოდენობა 30-ჯერ შემცირდა. მისი უდიდესი კერები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, ისპობა. პიდრონაგებობათა და სარწყავ სისტემათა მშენებლობა ხელს კი არ უწყობს მალარიით დაავადების ზრდას, არამედ, პირიქით, მისი მოსპობის ერთ-ერთი ფაქტორია. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მალარია უკვე აღარ ითვლება მასობრივ დაავადებად, უზარმაზარი სივრცეები სავსებით თავისუფალია მისგან და შორს არ არის ის დღე. როდესაც მალარია სრულიად მოისპობა.

სწორებათა მეორე ჯგუფი, როგორც ითქვა, წარმოიშვა აღამიანთა უვნებელი პარაზიტების პათოგენური თვისებების გამომუშავების შედეგად.

დიზენტერიის მაგალითით შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ხდება ზოგიერთი პათოგენური პარაზიტი ინფექციურ დაავადებათა აღმძვრელად. დიზენტერიის აღმძვრელად ითვლება ურთიერთ ნათესაობაში მყოფი ბაქტერიების ჯგუფი, ხოლო ამ ბაქტერიების ნაირსახეობა რამდენიმე ათეულს აღწევს. დიზენტერიის მიკრობები აღაშიანის პარაზიტებად ითვლება და შინაურ და გარეულ ცხოველებში არ გვხვდება. მათთან უფრო ახლომდგომი ბიოლოგიური სახეობა — ნაწლავის ჩნირი (არაპათოგენური პარაზიტი) მუდამ აღამიანის ნაწლავში ცხოვრობს. ნაწლავის ჩნირიც მკვეთრად გამოკვეთილი ცვალებადობით ხასიათდება და მას მრავალი ნაირსახეობა მოეპოვება. ზოგი მათგანი ძალიან ენათესავება დიზენტერიის აღმძვრელს. როგორც აღვნიშნეთ, ნაწლავის ჩნირი ეკუთვნის არაპათოგენურ ან პირობით პათოგენურ ბაქტერიებს, მაგრამ ზო-

გი მისი ნაირსახეობა ფალარათის აღმძვრელად ითვლება, განსა-  
კუთრებით ბავშვებში. არსებობს სხვა დაკვირვებებიც, რომლებიც  
ადასტურებენ ნათესაობას ამ ბაქტერიებს შორის და ნებას გვაძ-  
ლევენ დავასკვნათ, რომ დიზენტერიის გამომწვევნი წარმოიშვნენ  
ნაწლავის ჩეირისაგან.

რა გზით წარმოიშვნენ ისინი? ყოველგვარი პარაზიტი, რო-  
მელიც კი პატრონის ორგანიზმში, ამ შემთხვევაში საჭმლის მომ-  
ნელებელ ტრაქტში, ბუდობს, ორგანიზმის თავდაცვითი ძალების  
ზემოქმედებას განიცდის. პარაზიტული ცხოვრების წესთან შეგუება  
შეიძლება სხვადასხვა გზით წარიმართოს. თუ პარაზიტი ნაწლავის  
სანათურმში ბუდობს და მისი შიგთავსით იკვებება, ის გამოიმუშა-  
ვებს უპირველეს ყოვლისა უნარს — წინააღმდეგობა გაუწიოს საჭ-  
მლის მომნელებელი ფერპენტების მოქმედებას. ამ თვისებას კარგად  
ააშკარავებს ნაწლავის ჩეირი. მაგრამ თუ პარაზიტი ღრმად იჭრე-  
ბა ლორწოვან გარსში, მაშინ აქ მასზე ზემოქმედებას ახდენს ორ-  
განიზმის სხვადასხვაგვარი დამცველი რეაქცია. მაგრამ პარაზიტი,  
როგორც ყველა ცოცხალი არსება, შეიძლება შეეგუოს სხვადასხვა  
პირობებს, მათ შორის ორგანიზმის დამცველი რეაქციის ზემოქმე-  
დებასაც. იგი სძლევს მას და ხდება პათოგენურ პარაზიტად, რო-  
მელიც ამ შემთხვევაში დაიბუდებს არა ნაწლავის ღრუში, არამედ  
მის ქსოვილებში. მაგრამ ქსოვილებში პარაზიტების გამრავლება  
იწვევს ორგანიზმის თავდაცვითი რეაქციის მთელი ძალების თავ-  
მოყრას, რასაც ნერვული სისტემა წარმართავს. ამის შედეგად, ორ-  
განიზმი უმეტეს შემთხვევაში სპობს ან უვნებელყოფს პარაზიტს.  
აპრიგად მყარდება განსახლვრული ურთიერთმოქმედება პათოგე-  
ნურ პარაზიტსა და პატრონის ორგანიზმს შორის. პათოგენური  
თვისებები პარაზიტს შესაძლებლობას აძლევს დაძლიოს ორგანიზ-  
მის საერთო, არასპეციფიკური დამცველი რეაქციები. ქსოვილებში  
მისი გამრავლების შედეგად ხდება ორგანიზმის დაზიანება (დაავა-  
დება), ამ დაზიანებას მოქმედებაში მოჰყავს თავდაცვითი რეაქციე-  
ბი, რომლებსაც ახლა სპეციფიკური ხასიათი აქვს, რაღვან მიმარ-  
თულია ამ პარაზიტის გასანადგურებლად ან მის უვნებელსაყოფად.  
ამიტომ განვითარებადი იმუნიტეტი სპეციფიკურად ითვლება და  
განსხვავდება იმ არასპეციფიკური თავდაცვითი რეაქციისაგან, რო-  
მელსაც პატრონი გამოიმუშავებს ხოლმე და რომელიც მას ევო-  
ლუციის შედეგად მემკვიდრეობით აქვს მიღებული.

ასეთი გზა, ეჭვს გარეშეა, განვლო დიზენტერიამ. იმის მიხედვით, თუ როგორ ხდებოდნენ ნაწლავის ჩეირის ცალკეული ნაირსახეობანი პათოგენურ ქსოვილოვან პარაზიტებად, ყალიბდებოდა დიზენტერიის დამახასიათებელი სნეულების კლინიკური სურათიც. დიზენტერიის არსებული ფორმები ამ ევოლუციის გზის თითქოს სხვადასხვა ეტაპს წარმოადგენს. გრიგორიევ-შიგის დიზენტერიის ბაქტერიები მკვეთრად განსხვავდებიან ნაწლავის ჩეირისაგან: მათ დაკარგეს მრავალი ფერმენტი, რომელიც აუცილებელია ნაწლავის სანათურში მცხოვრები პარაზიტისათვის და სრულიად გამოუსადეგარია ქსოვილის პარაზიტისათვის; მაგრამ მათ გამოიმუშავეს თვისება მძლავრი ტოქსინის (შხამის) წარმოქმნისა, რომელიც არ გააჩნია ნაწლავის ჩეირს. ამ მიკრობის დანერგვისადმი ადამიანის ორგანიზმის რეაქცია სნეულების დამახასიათებელი კლინიკური სურათით გამოიხატება და მას თან ახლავს იმუნიტეტის გამომუშავება. ჰის-ფლექსნერის დიზენტერიის ბაქტერიები მნიშვნელოვნად უახლოვდებიან ნაწლავის ჩეირის: მათ მხოლოდ ნაწილობრივ დაკარგეს მათთვის დამახასიათებელი ფერმენტები და ისინი არ გამოიმუშავებენ ტოქსინს; სნეულების კლინიკური მიმღინარეობა ნაკლებად თვალსაჩინოა, იმუნიტეტი — არასრულყოფილი.

რა პირობებში იქცნენ ნაწლავის ჩეირები დიზენტერიის აღმდვრელებად? ეს პირობები არ შეიძლება არსებულიყო მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბებამდე, რაღაც მანამდე ადამიანები მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ და დიდი დასახლებული ადგილები არ იყო. განცალკევებულ ტომებსა და მომთაბარე ურდოებს შორის არ შეიძლებოდა დიზენტერიის ტიპის სნეულების გაჩენა. ნაწლავის ჩეირის პათოგენურ ნაირსახეობას, რა თქმაუნდა, შეეძლო ტომის წევრთა დაავადება გამოეწვია. მაგრამ ამით სნეულება არ ვრცელდებოდა. სხვა მდგომარეობა იყო ანტიკური საზოგადოების დიდ დასახლებულ ადგილებში. წყალსატევების გაბინძურება განავლით, შექუჩებული მოსახლეობა, რომელიც პრიმიტიულ პირობებში ცხოვრობდა, ბუზების მიერ გაბინძურებული საკვები, — ყველაფერი ეს უზრუნველყოფდა აღმდვრელის გავრცელებას აღამიანთა დიდ მასებში. მეტიც: ამ პირობებში ნაწლავის ჩეირის სწორედ იმ ნაირსახეობებს, რომლებიც იწვევდნენ ფალარას, შეეძლოთ მტკიცედ დაფუძნებულიყვნენ და უფრო გავრცელებულიყვნენ, რაღაც ავალმყოფები უფრო ინტენსიურად აბინძუ-

რებლნენ გარემოს განავლით, ვიდრე ჯანმრთელნი. პიპოკრატის თხზულებებში ჩვენ უკვე ვხვდებით ცნობებს იმ დავადებათა შესახებ, რომელნიც ძალიან გვანან თანამედროვე დიზენტერიას.

ის პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყეს დიზენტერიის გამომუვევის წარმოქმნას, უფრო მეტ ინტენსიურ მოქმედებას განაგრძოდა საზოგადოების განვითარების შემდგომ პერიოდებში, და დიზენტერია გახდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული დავადება. რამდენადც მოსახლეობის შექუჩებულობა და კომუნალური კეთილმოუწყობლობა დიზენტერიის წარმოშობისა და ევოლუციის გადამწყვეტი პირობებია, სრულიად ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ეს სენი თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებულია უმეტესად ქალაქებში, სადაც ის მუსრს ავლებს უმთავრესად მოსახლეობის ლარიბ ფენებს, რომლებიც ბინალრობენ მუშათა უბნებში და ლატაკთა თავშესაფრებში. დიზენტერიის გავრცელებისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს დიზენტერიის მიკრობებისა და მათ ნაირსახეობათა „გაცვლას“ სხვადასხვა ქვეყნებს შორის, მის გავრცელებას ომის პერიოდში, კოლონიების დაპყრობისას და ა. შ. დიზენტერიის ბაქტერიების ახალ სახეობათა და ნაირსახეობათა წარმოშობის პროცესი, უეჭველია, ამჟამადაც გრძელდება. დიზენტერიის ზოგიერთი აღმდევრელი სულ ახლახან წარმოიშვა; ამას ამტკიცებს მისი ამა თუ იმ სახეობის თითქმის ყოველ წელს აღმოჩენა.

მოსპობილია თუ არა ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობები, რომლებიც ხელს უწყობს დიზენტერიის გავრცელებას? შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეს პირობები აღარ არსებობს. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური პირობების ყოველდღიური გაუმჯობესება, კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობა, ქალაქებში კომუნალური მეურნეობის განვითარება, სანიტარული კულტურის საერთო დონის ამაღლება — ყველა ეს ფაქტორი არა მარტო ზღუდავს დიზენტერიის გავრცელებას, არამედ კიდევაც აადვილებს მასთან ბრძოლას,

ამ ობიექტური პირობების შეხამებამ ეპიდემიის საწინააღმდეგო მიზნობრივ სანიტარულ ღონისძიებათა მტკიცედ გატარებასთან, რომლებიც მიმართულია დიზენტერიასთან ბრძოლისაკენ, შესაძლებლობა მოგვცა შესამჩნევი წარმატებები მოგვეპოვებინა ამ

სნეულებასთან ბროლის საქმეში. დიზენტერიის ერთ-ერთი, სახეობა — მისი მეტად მძიმე ფორმა, რომელსაც გრიგორიევ-შიგის ბაქტერიები იწვევს, ჩვენს ქვეყანაში თითქმის მთლიანად მოსპობილია. უკველია, რომ ასეთი ბედი ეწევა დიზენტერიის სხვა ფორმებსაც, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ დიზენტერიის მოსპობა და მისი აღმძვრელის განადგურება მრავალი წლის გულმოდგინე და მიზანდასახულ მუშაობას მოითხოვს.

როგორც უკვე ალინიშნა, სნეულებათა მთელი რიგი (სნეულებათა მესამე ჯგუფი) ადამიანმა მიიღო მის მიერ მოშინაურებული ცხოველებისაგან, აგრეთვე იმ მღრღნელებისაგან, რომლებიც მის საცხოვრებელში ბინადრობენ. ამ სნეულებათა რიცხვს ეკუთვნის პარტახტიანი ტიფი, რომლის წარმოშობის გამოკვლევა ძნელი არ არის.

ეპილემიური პარტახტიანი ტიფის წინაპრად ითვლება ერთ-ერთი ტკიპით გადატანილი პარტახტიანი ცხელება ან რიკეტსიოზი (მაგალითად, მარსელის ტკიპური პარტახტიანი ტიფი), რომელიც გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის აუზში. მისი ბუნებრივი კერები საკმარისად შესწავლილი არაა, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის განსხვავდება მისი მონათესავე რიკეტსიოზებისაგან, რომლებიც გავრცელებულია მთელ დედამიწაზე: რიკეტსიების პატრონებად ითვლება თაგვისმაგვარი ნღრღნელები და იქსოური (საძოვრების) ტკიპები, რომლებიც იმავე დროს ამ სენის გადამტანებიც არიან. ამ რიკეტსიოზის კერები წარმოიშვა და არსებობდა დიდი ხნით ადრე ადამიანის წარმოშობამდე.

როგორც ცნობილია, დასახლებული პუქტების (ქალაქების) წარმოშობას ჯერ კიდევ უძველეს დროში თან ახლდა თაგვისმაგვარი მღრღნელების მოშინაურების პროცესი. ეს ცხოველები ადამიანის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად ბინადრობდნენ მის საცხოვრებლებშა, მას შემდეგ, რაც მათ ჯერ დროებით, შემდევ კი სამუდამოდ მიატოვეს თავიანთი ბუნებრივი განსახლების აღილები. იმ პარაზიტებს შორის, რომლებიც თაგვებმა და ვირთაგვებმა თან მოიყვანეს ადამიანთა სადგომებში, იყვნენ პარტახტიანი ტიფის ცხელების გამომწვევი რიკეტსიებიც. თაგვის — მაგვარი მღრღნელებისაგან განსხვავებით, რიკეტსიის გადამტანი — იქსოდური ტკიპები ვერ შეეგუნ ადამიანის საცხოვრებლებს. ამ პირო-

ბებში რიკეტსიები ან უნდა დალუპულიყვნენ, ანდა შეგუებოდნენ  
ახალ გადამ ზანთ. ასეთ გადამტანებად გახდნენ რწყილები, რომ-  
ლებმაც, ტკიპებისაგან განსხვავებით, ადამიანის სადგომებში არსე-  
ბობის ხელსაყრელი პირობები პოვეს. ტკიპური რიკეტსიოზი გარ-  
დაიქმნა მუცლის ვირთაგვისებურ რიკეტსიოზად, რომელიც ამ-  
ჟამად გვხვდება ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის მრავალ  
ქალაქში.

მღრღნელების ზოგიერთი რწყილი თავს ესხმის ადამიანს,  
რასთან დაკავშირებითაც იშვიათი როდია ვირთაგვური რიკეტსიო-  
ზით დაავადება მთელ რიგ ქალაქებში. ანტიკურ ქალაქებში რიკეტ-  
სიის ევოლუცია უფრო შორს წავიდა: მღრღნელთა რიკეტსიის  
ცირკულაციის პროცესში ჩართულ იქნა ადამიანი და მისი სისხლის  
მწოვი პარაზიტები. მათ შორის ტილები ყველაზე უფრო მუდმივ  
პარაზიტებად ითვლება, ამიტომ რიკეტსიები შეევუენ პარაზიტო-  
ბას ტილის ორგანიზმში. ამ გარემოებას უაღრესად დიდი მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა, რადგან, რწყილებისაგან განსხვავებით, ადამიანის  
ტილები თავს არ ესხმიან ცხოველებს, ამიტომ ტილებთან რიკეტ-  
სიის შეგუება ნიშნავდა წინანდელი პატრონის — თაგვებისა და  
ვირთაგვების დაკარგვას. გაჩნდა ადამიანის რიკეტსიოზი — პარტა-  
ნტიანი ტიფი, რომელიც დაკავშირებული არ იყო ამა თუ იმ გან-  
სახლვრულ ტერიტორიასთან და ადამიანიდან ადამიანზე ვრცელ-  
დებოდა ტილების საშუალებით. საფიქრებელია, რომ პარტახტია-  
ნი ტიფის წარმოშობის პროცესი დამთავრდა პირველ ათასეულ  
წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ამ სნეულების ერთ-ერთ დიდ  
ეპიდემიას ადგილი ჰქონდა პელოპონესის ომის დროს.

შემდგომ პარტახტიანი ტიფი ყველგან გავრცელდა. ომებს,  
ჯვაროსნულ ლაშქრობებს, მოუსავლობას, შიმშილს, სხვა სოცია-  
ლურ შერყევებსა და სტიქიურ უბედურებებს ყოველთვის თან ახლ-  
და პარტახტიანი ტიფის ეპიდემია. ასე გრძელდებოდა მიმდინარე  
საუკუნეებე, ვიდრე ამ სენის საწინააღმდეგო ზომების სისტემა არ  
იქნა შემუშავებული. როგორც ცნობილია, ეს სისტემა განვითარე-  
ბულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი მთლიანად არ ტარდება ცხო-  
ვრებაში. ამას თვალსაჩინოდ აღასტურებს პარტახტიანი ტაფის  
ეპიდემიური გავრცელები გერმანელ ფაშისტთა ჯარებში დიდი სა-  
მამულო ომის დროს. პარტახტიანი ტიფი მოსპობილი არაა მთელ  
რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ

შტატებში; იგი ფართოდაა გავრცელებული კოლონიებში და ექო-  
ნოშიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

პარტახტიანი ტიფი ჩვენ მძიმე მექვიდრეობის სახით მივი-  
ღეთ მეფის მემაჟულურ-კაპიტალისტური რეჟიმისაგან. 1921—1922  
წლების პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის (ეს ეპიდემია დაკავშირე-  
ბული იყო სამოქალაქო ომთან და ომისშემდგომ მოუსავლიანო-  
ბისთან) ლიკვიდაციის შემდეგ პარტახტიანი ტიფით დაავადება  
ჩვენს ქვეყანაში განუხრელად სულ უფრო და უფრო მცირდებო-  
და. ეპიდემიის საწინააღმდეგო ლონისძიებათა სისტემის გატარე-  
ბის მეოხებით დიდი სამაშულო ომის წლებში ჩვენს არმიასა და  
ზურგში პარტახტიანი ტიფის ეპიდემიები აცილებულ იქნა, ხოლო  
ამ სნეულებით გამოწვეული დაავადების შემთხვევები იმ რაიონებ-  
ში, რომლებიც გერმანელმა ოკუპანტებმა დროებით დაიკავეს, მა-  
ლე იქნა ლიკვიდირებული მათი განთავისუფლების შემდეგ. პარ-  
ტახტიანი ტიფი, როგორც მასობრივი დაავადება, ჩვენს ქვეყანა-  
ში დიდი ხანია მოსპობილია, რადგან მოსახლეობის კეთილდღეო-  
ბა და ქულტურის დონე განუწყვეტილივ იზრდება და პროფილაქ-  
ტიკურ ლონისძიებათა სისტემა განუხრელად ტარდება. მაგრამ ჩვე-  
ნი ქვეყნის ზოგიერთ რაიონში კადევ არის შემორჩენილი ამ სენით  
დაავადების ერთეული შემთხვევები, და საჭიროა მათ დიდი ყუ-  
რადღებით მოვეპყრათ. ამ სენის საბოლოოდ მოსპობის დაჩქარე-  
ბა — ასეთია ამოცანა, რომელიც საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის  
წინაშე დგას.

პარტახტიანი ტიფის ჩასახვისა და ევოლუციის ისტორია ის  
მაგალითია, რომელიც გვისურათებს მეოთხე ჯგუფის სნეულებათა  
წარმოშობას. ეს სნეულებანი ადამიანმა მიიღო უშუალოდ გარეუ-  
ლი ცხოველებისაგან.

შებრუებითი ტიფის ეპიდემიოლოგია ბევრი მხრივ ემსგავსე-  
ბა პარტახტიანი ტიფის ეპიდემიოლოგიას. ორივე ეს სნეულება  
მხოლოდ ადამიანს ემართება და გადაიცემა ტილების საშუალებით.  
მათი ეპიდემიები მსგავს პირობებში წარმოიშობა, მათ წინააღმდეგ  
მიმართულ პროფილაქტიკურ ლონისძიებათა სისტემაც თითქმის  
ერთნაირია. მაგრამ შებრუნებითმა ტიფმა, ვიდრე ის ადამიანის  
სნეულება გახდებოდა, ევოლუციის სხვა გზა განვლო.

ეპიდემიური შებრუებითი ტიფის წინაპრად, როგორც ჩანს,  
ითვლება ტკიპური შებრუნებითი ტიფი, რომლის აღმძვრელი —  
სპიროხეტა (ბაქტერიის განსაკუთრებული სახე) ძალიან ემსგავსება

ტილით გავრცელებული შებრუნებითი ტიფის სპიროხეტას. ტკი-პური სპიროხეტოზის ბუნებრივი კერები ამჟამად შუა აზიაში მოი-პოვება. ეს კერები იმყოფება უდაბნოებში და ნახევრად უდაბნოებ-ში. სპიროხეტების პატრონად ითვლება წვრილფეხა მღრღნელები (უმთავრესად მექვიშიები) და ორნიტოდორული ტკიპები. ეს უკა-ნასკნელნი იმავე დროს სენის გადამტანნიც არიან. სპიროხეტებით დაავადებული ტკიპები ამ სპიროხეტებს შთამომავლობით გადას-ცემენ. ტკიპური სპიროხეტოზების მსგავსი კერები არსებობს ყვე-ლა კონტინენტზე; ყველა ისინი დაკავშირებულია მღრღნელებთან და ორნიტოდორულ ტკიპებთან, ხოლო სხვადასხვა ქვეყნებში ალ-მოჩენილი სპიროხეტები მონათესავე სახეობისანი არიან. მაგრამ შუა აზიის ტკიპურ შებრუნებით ტიფს მნიშვნელოვანი თავისებუ-რება აქვს. სხვა ორნიტოდორული ტკიპებისაგან განსხვავებით, რომლებიც გარეულ სახეობებს განეკუთვნებიან, შუა აზიის შებრუ-ნებითი ტიფის გადამტანი (ორნიტოდორუს პაპილეპს) ადვილად ეგუება ადამიანის საცხოვრებელს, რაც ამ ადგილებში უმთავრესად თიხალესილისაგან შენდება. ის ბუდობს შენობის ხვრელებში ან ნაპრალებში და თავს ესხმის ადამიანსა და შინაურ ცხოველებს, რათა მათი სისხლით ისაზრდოოს. ტკიპების ბიოლოგიის ამ თავი-სებურებით აიხსნება ის ფაქტი, რომ შუა აზიაში შებრუნებითი ტკიპური ტიფის ბუნებრივ კერებთან ერთად არსებობს მათი კე-რები დასახლებულ პუნქტებშიც.

ალბათ, სწორედ ეს კერები უნდა იქნას ალიარებული ტილით გავრცელებული შებრუნებითი ტიფის წარმოშობის წყაროდ; შებ-რუნებითი ტიფი წარმოიშვა ტილებში ტკიპოვანი სპიროხეტების პარაზიტობის შედეგად. ეს პროცესი ადვილად მიმდინარეობდა იმის გამო, რომ სპიროხეტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ ტკიპური შებრუნებითი ტიფით დაავადებული ადა-მიანის სისხლში, აგრეთვე იმის გამო, რომ როგორც ლაბორატო-რიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, ტკიპური სპიროხეტები შეიძლე-ბა გამრავლდნენ ტილების ორგანიზმში.

საფიქრებელია, რომ ტილით გავრცელებული შებრუნებითი ტიფი წარმოიშვა შუა აზიის ანტიკური კულტურის აყვავების პე-რიოდში, და ადამიანთა ცხოვრების იმავე პირობებში, რომლებმაც წარმოშვა პარტახტიანი ტიფი ხმელთაშუა ზღვის აუზში, გამოიწვია შებრუნებითი ტიფი შუა აზიაში. ორივე სნეულების შემდგომი ევო-

ლუკია ბევრი რამით ემსგავსება ერთმანეთს. სწორების ტილებით გადატანასთან შეგუებამ გამოიწვია შებრუნებითი ტიფის მოწყვეტა განსაზღვრული ტერიტორიებისაგან და მისი ფართოდ გავრცელება მოსახლეობაში. შებრუნებითი ტიფის ეპიდემიის ისტორია, დაწყებული იმ დროიდან, როდესაც ისწავლეს მისი გამოცნობა, ბევრი მხრივ იმეორებს ზემოთქმულს პარტაზტიანი ტიფის შესახებ. ჩვენ საშუალება არა გვაქვს შევჩერდეთ დეტალებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შებრუნებითი ტიფი ამჟამად გავრცელებულია კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

შებრუნებითი ტიფით დაავადება ჩვენს ქვეყანაში 1921—1922 წლების ეპიდემიის აღმოფხვრის შემდეგ მკვეთრად მცირდებოდა და ომისშემდგომ წლებში საბოლოოდ მოსპობილ იქნა. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ცხოვრების პირობები გამორიცხავს შებრუნებითი ტიფის ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას. ამავე პირობებმა გააადვილა მისი საბოლოოდ მოსპობა. ასევე შეუძლებელია ტილით გადატანილი შებრუნებითი ტიფის ტკიპური შებრუნებითი ტიფის ბაზაზე აღორძინება შუა აზიაში, რაღაც მოსახლეობის ცხოვრების პირობები შუა აზიის რესპუბლიკებში ძირფესვიანად განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომლებშიაც ცხოვრობდა წარსულში შუა აზიის მოსახლეობა, ტკიპური შებრუნებითი ტიფის კერები კი დასახლებულ ადგილებში ისპობა.

ჩვენ დაგვრჩა განვიხილოთ სწორებათა მეხუთე ჯგუფი. მაგალითისათვის ავილოთ ხოლერა. ხოლერის ვიბრიონის წინაპრებად ითვლება თავისუფლად მცხოვრები ვიბრიონები, გაბინძურებული წყალსაცავების საპროფიტები. ზოგი მათგანი იმდენად ახლოდგას ხოლერის ვიბრიონთან, რომ მისი გარჩევა ამ უკანასკნელისაგან საქმაოდ ძნელია. ხოლერის ვიბრიონები დღემდე ატარებენ წყლისგან წარმოშობის ბეჭედს: ისინი ვერ იტანენ გამოშრობას და კარგად ინახებიან და კიდევაც მრავლდებიან წყალსაცავებში, რომლებიც შეიცავენ ორგანულ ნარჩენებს.

ხოლერა წარმოიშობა თავისუფლად მცხოვრები წყლის ვიბრიონების ადამიანის ნაწლავებში პარაზიტობასთან შეგუების შედეგად; ამასთან ეს ვიბრიონები იძენენ პათოგენურ თვისებებს. ეს პროცესი ბევრი რამით ემსგავსება ნაწლავის ჩხირიდან დიზენტერიის მიკრობების წარმოშობას. ინდოეთი, რომელიც დღემდე ხოლერის მსოფლიო კერად ითვლება, მის სამშობლოდ უნდა იქნას

აღიარებული. აქ უძველეს დროში შეიქმნა იმ ბუნებრივი და სოციალური პირობების მეთავარი, რომელიც შესაძლებელი გახდა წყლის ვიბრიონის გადაქცევა ხოლორის აღმძვრელად. ხოლორის შეძლვობი ისტორია მოთხოვობილია ზემოთ.

ჩვენ განვიხილეთ ადამიანის გადამდებ სწორებათა წარმოშობის ძირითადი წყაროები და მათი ეფოლუციის გზები. საამისოდ მოყვანილ იქნა კონკრეტული მაგალითები. ახლა საჭიროა საერთოდ გახვიხილოთ ადამიანის განაძლებ სწორებათა წარმოშობა და ეფოლუცია ადამიანთა საზოგადოების გახვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ორგანული სამყაროს განვითარებას თან ახლდა პარაზიტიზმის სხვადასხვა ფორმის გაძოვლინება და განვითარება. ზოგი პარაზიტი საძუდამოდ დამკვიდრდა მისი პატრონის ორგანიზმში; ბევრი მათგანა ამ შეგუების შედეგად მიიღო პათოგენური თვისებები და იქცა გადამდებ სწორებათა აღმძვრელად. სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში შეიქმნა გადამდებ სწორებათა ბუნებრივი კერები, რომელთა წარმოშობა, არსებობა და გაქრობა განისაზღვრება რთული ურთიერთდამოკიდებულებით პარაზიტებსა და შათ პატრონებს შორის. ცხოველების გადამდებ სწორებათა ეფოლუცია პათოგენური პარაზიტებისა და მათი პატრონების ერთობლივი ეფოლუციის შედეგია და ეძორიჩილება საერთო ბიოლოგიურ კანონებს. ბუნებრივი პირობები, ისევე როგორც ბიოლოგიური ფაქტორები, ცხოველების გადამდებ სწორებათა ეფოლუციის მამოძრავებელი ძალაა.

ადამიანის გაჩენასთან და ადამიანთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად გაჩნდნენ იდამიანის გადამდები სწორებანიც. ადამიანის გადამდებ სწორებებს იგივე ბიოლოგიური საფუძველი აქვს, რაც ცხოველთა გადამდებ სწორებებს: პათოგენური პარაზიტებისა და ადამიანის ორგანიზმის ურთიერთმოქმედება ინფექციური პროცესის ძირითადი შინაარსია; შოსახლეობაში აღმძვრელთა გაგრცელება ეპიდემიური პროცესის ძირითადი შინაარსია. მაგრამ ეპიდემიური პროცესის მამოძრავებელ ძალად ითვლება ადამიანთა ცოცვრების პირობები და სოციალური ფაქტორები; აძიტომ ადამიანის გადამდებ სწორებათა ეფოლუცია განისაზღვრება ადამიანთა საზოგადოების გახვითარებით, მეტიც: საჭარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე, ადამიანის აქტიურმა, ბუნების გარ-

დაქმნისაკენ მიმართულმა მოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ცხოველების გადამდებ სწოლებათა ევოლუციაზე.

ამჟამად არსებული ადამიანის გადამდები სწოლებანი წარმოიშვნენ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

მხოლოდ ზოგი მათგანი, როგორიცაა მალარია, ენტერობიოზი, ბუშტუკოვანი სირსველა, ადამიანმა მიიღო მისი მაიმუნისმაგვარი წინაპრებისაგან, უმრავლესობა კი გაცილებით უფრო გვიან წარმოიშვა.

უკვე საზოგადოების განვითარების აღრინდელ ეტაპებზე, პირველყოფილ-თემური წყობილების დროს, ადამიანმა მოაშინაურა ცხოველები და მის ბინებში დამკვიდრდნენ მლრღნელები. შინაურ ცხოველებს თან მოჰყვა მათი სწოლებანი. ახალი სწოლებანი წარმოიშვნენ პათოგენური პარაზიტების გაცვლის შედეგად, აგრეთვე გაჩნდნენ ბუნებრივ კერებში. დასასრულ, შინაურ ცხოველთა ცხოვრების პირობების შეცვლას (მათ გარეულ წინაპრებთან შედარებით) არ შეეძლო არ გამოეწვია ახალი გადამდები სწოლებანი. ეს პროცესები, დაწყებული შინაურ ცხოველთა წარმოშობის დროიდან, უფრო ინტენსიურად გრძელდება ამჟამად. ბრუცელოზი, თურქული, ქოთაო, ვირთაგვის რიკეტსიოზი, პარატიფური სწოლებანი და ბევრი სხვა დაავადება გარეულ ცხოველებში არ გვხვდება. ეს სწოლებანი ადამიანის ნება-სურვილის გარეშე წარმოიშვა მისი საქმიანობის შედეგად. ბევრი ამ სწოლებათაგანი ადამიანს ემართება, ზოგი მათგანი კი გახდა იმ სწოლებათა წარმოშობის წყარო, რომლებიც მხოლოდ ადამიანს ემართება. მუნის, ზოგიერთ სოკვანი სწოლების, სტრეპტოკოკური ინფექციის, მთელი რიგი ჭიისებრი ინვაზიებისა და ვირუსული ურეტრიტის წარმოშობა პირველყოფილ-თემური წყობილების ეპოქას მიეკუთვნება.

ადამიანის გადამდებ სწოლებათა მნიშვნელოვანი რიცხვი წარმოიშვა მონათმფლობელურ სახელმწიფოთა შექმნის ეპოქაში; ამ დროს ეკუთვნის პარტახტიანი ტიფის, შებრუნებით ტიფის, ტიფო-პარატიფურ სწოლებათა, დიზენტერიის, ხოლერის, ყვავილისა და მთელ რიგ სხვა სწოლებათა წარმოშობა. უფრო გვიან ეს სწოლებები ფართოდ გავრცელდა, ხოლო ზოგი მათგანის ევოლუციის შედეგად წარმოიშვა რამდენიმე აღმძვრელი (დიზენტერია, ტიფოპარატიფური სწოლებანი, ხოლერა).

ახალ სნეულებათა ჩამოყალიბების პროცესები გრძელდებოდა შუა საუკუნეების ეპოქაშიც. სერიოზული საფუძველი გვაქვს ვიფი-ქროთ, რომ ისეთი სნეულებანი, როგორიცაა წითელა, ქუნთრუშა, გრიპი, სიფილისი და ყივანა ხველა, წარმოიშვნენ ან საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ სწორედ ამ პერიოდში.

უფრო გვიან, კაპიტალიზმის ეპოქაში, ხდება გადამდებ სნეულებათა ფართოდ გავრცელება, მათი გადასვლა სხვადახხვა ქვეყნებში, ხოლო ზოგი მათგანი საყოველთაოდ ვრცელდება. განსაკუთრებით ფეხს იკიდებს ნაწლავისეული ინფექციები (რასაც უშუალო კავშირი აქვს სტიქიურად მზარდი დიდი ქალაქების კომუნალურ კეთილმოუწყობლობასთან); ჰაეროვან-წვეთოვანი ინფექციები და ტუბერკულოზი (რომელთა გავრცელება დამოკიდებულია ქალაქებში მოსახლეობის შექუჩებულობაზე); ვენერიული დაავადებანი ეს უკანასკნელნი ოჯახის ნგრევისა და მეძავეობის განვითარების უშუალო შედეგია). ეჭვი არ არის, რომ გადამდებ სნეულებათა წარმოშობის პროცესი ამჟამადაც გრძელდება.

გადამდებ სნეულებათა გავრცელება ისე თვალსაჩინოდ არის დაკავშირებული ექსპლოატირებული კლასების ცხოვრების მძიმე პირობებთან მონათმულობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებებში, რომ გამოთქმაც კი „სოციალური დაავადებანი“ საამისოდ იქმნა შემოლებული. საწარმოო ძალთა განვითარება და მეცნიერების წინსვლა XIX და XX საუკუნეებში კაცობრიობას ხელთ აძლევს საიშედო საშუალებას გადამდებ სნეულებებთან საბრძოლველად. მაგრამ ამ საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა კაპიტალიზმის პირობებში არ არსებობს; ასევე არ შეიძლება კაპიტალიზმის პირობებში განხორციელდეს ფართო სოციალური გამაჯანსაღებელი ლონისძიებანი. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მმართველები ახორციელებენ მხოლო ეპიდემიის საწინაღმდევო ლონისძიებათა მინიმუმს, რაც მიმართულია გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა დაცვისაკენ ისეთ საშიშ სნეულებათაგან, როგორიცაა შავი ჭირი, ხოლერა ან კეთრი, რომელთა გავრცელებას, შეუძლია გამოიწვიოს ქვეყნის ცხოვრების დეზორგანიზაცია. მაგრამ ეს ლონისძიებანიც კი უმთავრესად მეტროპოლიებში ტარდება.

გადამდებ სნეულებათა ეპიდემიის გავრცელების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში. ექსპლოატაციის მოსპობა, სახალხო მეურნეობის გეგმიანიდ წარმართვა,

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა — სოციალისტური საზოგადოების ყველა ეს თავისებურება თავისთავად ხელს უწყობს გადამდებ სწეულებათა შეზღუდვას და მოსპობას. განსაკუთრებით გასაოცარია ის გავლენა, რაც სოციალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის ცხოვრების პირობების შეცვლამ მოახდინა ვენერიული სწეულებებზე, რომელთაც საფუძველი ეცლებათ მეძავეობის მოსპობასა და ოჯახის განმტკიცებას თან ერთად; პარაზიტულ ტიფზე, რომელსაც საფუძველი ეცლება სილარიბისა და მაწანწალობის მოსპობასთან ერთად; ნაწლავისეულ ინფექციებზე, რომელთა მიერ გამოწვეული დაავადება ეცემა ქალაქებში კომუნალური მეურნეობის განვითარების კვალობაზე და კაპიტალისტური ქალაქებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ლატაკთა უბნების მოსპობასთან დაკავშირებით.

მაგრამ მარტო ამით არ გამოიხატება სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის მიმართ. გადამდებ სწეულებებთან წარმატებით ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მეცნიერების განვითარებას სოციალისტურ სახელმწიფოში. პროფილაქტიკა და გადამდებ სწეულებებთან ბრძოლა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელოდამბის საქმედ ითვლება და ამ მიზნით სახელმწიფო უდიდეს მატერიალურ სახსრებს ხარჯავს. ეპიდემიის საწინააღმდეგო სანიტარულ ლონისძიებათა სისტემა ემყარება სამედიცინო მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენებას, იგი ცხოვრებაში ტარდება ყველა სამეურნეო ორგანიზაციისა და უწყების ძალებით, მოსახლეობის ფართო თვითმოქმედების დახმარებით, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ხელმძღვანელობითა და კონტროლით. სწორედ ეს აქტიური პროფილაქტიკა და გადამდებ სწეულებებთან ბრძოლა ითვლება მათი შემცირებისა და მოსპობის მთავარ პირობად.

აქტიური პროფილაქტიკის უდიდესი მნიშვნელობა დასტურდება ჩვენს ქვეყანაში მთელ რიგ ინფენქციურ დაავადებათა მოსპობისა და მათი გაჩენის თავიდან აცილების ისტორიით. ექვს გარეშეა, მაგალითად, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში მაღარიის კოლოების არსებობა ხელს უწყობს მაღარიის გავრცელებას. საბჭოთა კავშირის რაიონების დიდ უმრავლესობაში მაღარიის, როგორც მასობრივი სწეულების, მოსპობა მაღარიის

წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციების საქმიანობის პირდაპირი შედეგია. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ისეთი გადამდები სწორულების მოსპობა, როგორიცაა ყვავილი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მეფისდროინდელ რუსეთში და რომელიც ახლა ჩვენში ვერ ვრცელდება ჩვენი თანამოსაზღვრე კაპიტალისტური სახელმწიფოებიდან, სადაც ის ახლაც იწვევს ეპიდემიას, ეპიდემიის საწინააღმდეგო სანიტარული სამსახურის უდავო მღწევად ითვლება. უდაბნოთა და ნახევრად უდაბნოთა მორწყება დაკავშირებულია გადამდებ სწორულებათა და სწორულების გადადების შესაძლებლობის ბუნებრივ კერებში აღამიანის შეკრასთან. ის გარემოება, რომ ჰიდროკვანძებისა და სარწყავი სისტემების მშენებელთა შორის გადამდებ სწორულებებს აღვილი არა აქვს, მოწმობს საბჭოთა მედიცინისა და საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სიმწიფეს. საბჭოთა აღამიანების ჯანმრთელობა ამჟამად საიმედო ხელშია.

რასაკვირველია, გადამდებ სწორულებებთან ბრძოლის, მათი ლიკვიდაციისა და პროფილაქტიკის ბევრი ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ზოგი მათგანის მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, მრავალი ჰელმინტოზი, სამედიცინო მეცნიერებამ ჯერჯერობით შეიძუშავა მხოლოდ ბრძოლის პრინციპები, მათი მოსპობის-საიმედო ორგანიზაციული ხერხები კი ჯერ კიდევ არა გვაქვს. სხვების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, გრიპი, სამედიცინო მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ გამონახა ბრძოლის საკმაოდ ეფექტური საშუალებები.

მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ამ ამოცანებს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვა და საბჭოთა სამედიცინო მეცნიერება გადაწყვეტინ. საამისოდ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა ობიექტიური პირობა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესაბამისად გაიზრდება ჩვენი წარმატებანიც გადამდებ სწორულებებთან ბრძოლის, მათი პროფილაქტიკისა და საბოლოოდ მოსპობის საქმეში.



7060 1 856.

Член-Корреспондент Академии медицинских Наук СССР

В. М. Жданов

ПРОИСХОЖДЕНИЕ ЗАРАЗНЫХ БОЛЕЗНЕЙ  
ЧЕЛОВЕКА

(на грузинском языке)

Издание Общества по распространению политических  
и научных знаний Грузинской ССР

Тбилиси — 1954